[illegible]

სახალხო ფურცელი

რუსეთის მ. და ს. დეპუტატების საბჭოების ყრილობამ დაადგინა: სრული ნდობა გამოუცხადოს კოალიციურ მთავრობას; გაუქმებულ იქნას სახელმწიფო სათათბირო და საბჭო. კამათი ომის შესახებ.—ფინლანდიის ს. დემოკრატიის ყრილობის დადგენილება.—ხმები, რომ გერმანიამ სეპარატიული ზავის წინადადება მისცა რუსეთს.—ამშენებელ ცეხის მუშათა დადგენილება ვაშინგტონში მუშათა პარლამენტის დაწესებისთვის.—მოკლე დროში ტფილისში გაიმართება კავკასიის პოლონელ ორგანიზაციების ყრილობა.

№ 886 კვირა, 11 ივნისი 1917 წ. № 886

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკ. 5—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო ფურცელში“ (კ. თავართქილაძესეული „ნადეჟდა“) ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, поч. ящ. 190.

ფ ა ს ი 10 კ ა პ.

ტელეფონი 12—29

უზომოდ დატანჯული ქვრივი ევგენია გარსევანის ასული წერეთლისა გაუბედურებული შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ხუთშაბათს, 15 ივნისს დაბა საჩხერეში წმ. ნინოს ეკლესიაში დანიშნულია დილის 10 საათზე ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

მღვდლის ლავრენტი გრიგოლის ძის

წერეთლის

სულის მოსახსენებლად. 694

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ეფროსინე ილარიონის ასული და შვილი შალვა რუხაძეები, აუწყებენ ნათესავთა ნაცნობთ და მეგობართ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ

კონსტანტინე იაგორის ძე რუხაძის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება 18 ივნისს ამა 1917 წ. დილით კვირას 12 საათზე. ქ. ფოთში, ადგილობრივ სასაფლაოს ეკლესიაში. 6900

ტფილისის ქალაქის გამგეობა ღრმა მწუხარებით აცხადებს ძვირფასის ამხანაგის გამგეობის წევრის და საბჭოს ყოფილის მდივნის

მიხეილ ალექსანდრეს ძის

ჯაბარის

გარდაცვალებას. პანაშვიდი გადახდილი იქნება ორშაბათს 12 ივნისს, საღამოს 8 ს. საბჭოს დარბაზში. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს 13 ივნისს დილის 10 საათზე. ბინიდან (ჟუკოვსკის ქ. № 14) ვანქის ტაძარში. დაკრძალავენ ვერის სასაფლაოზე. 2021.

13 ივნისს, სამშაბათს, სოფ. საქარის მაცხოვრის ეკლესიაში გარდახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის

ნინო კონსტანტინეს ასულის

საყვარელიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საქმრო განსვენებულისა რუბენ აუშტროვი, დედა ლუკუნია (მარიამი), ძმა სიმონიკა, ბიძა და ბიცოლა მღ. დავითი და მარიამი, ბიძაშვილები ვანო, ვარლამ, პავლე, დათიკო და გრიგოლ საყვარელიძეები, და—თამარ ნადირაძისა და ბიძაშვილი ვასასი ტატიშვილისა.

თედო ღლონტის წიგნზე
ხელისმოწერა გაგრძელდება 15 ივნისამდე

ამ დროისათვის პროვინციიდან მიღებულ უნდა იქნას ფული და ცნობა ხელისმომწერთა რაოდენობის შესახებ. 15 ივნისიდან კი ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ ,,სახ. ფურცელის'' რედაქციაში და ფოსტით, მაგრამ წიგნი ეღირება სამი (3) მანეთი პირველ წიგნის დაბეჭდვისას, გამოცხადდება ხელისმოწერა მეორე წიგნზე—,,მასალები აგრარულ საკითხისათვის'' მეორე წიგნიც 3 მან. ეღირება

მოწოდება
ტფილისის სახლის პატრონთა მიმართ

მოქალაქენო, სახლის პატრონებო!

30 ამა ივნისს, პეტროგრადში დანიშნულია სრულიად რუსეთის სახლის პატრონთა კრება, სადაც იქნება ამორჩეული მართველობა სახლის პატრონთა ინტერესების დასაცავად. დღეს, 11 ივნისს, დილის 10 ს., ტფილისის საკრედიტო საზოგადოების ბინაზე (პუშკინის ქუჩა) არის დანიშნული

ტფ. სახლის პატრონთა კრება,

სახლის მფლობელობის სხვა და სხვა კითხვების შესახებ და პეტროგრადში გასაგზავნ რწმუნებულთა ამოსარჩევად. კრება კანონიერი იქნება რამდენი სახლის პატრონიც არ უნდა დაესწროს.

699 **ბინებ-ს კომიტეტების რწმუნებულთა ჯგუფი.**

კრებული მამადავითის ეკლესიისა პატივისცემით აუწყებს მრევლთ ხსენებულ ეკლესიისას, რომ კვირას, 11 ივნისს 12 საათზე სამრევლო სკოლის შენობაში (მთაწმინდის ქ. № 18) დანიშნულია

მრევლთა კრება

განურჩევლად სქესისა, კრების განსახილველია: 1. ახალი წესდება სამრევლო და საოლქო საბჭოთათვის დამტკიცებული სრულიად საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრის მიერ, 2. დაარსება სამრევლო საბჭოსი და მისი წევრთა ამორჩევა, 3. ამორჩევა ახალის მნათესი და სხვა. 696

წმინდა შემოსავლის 10% გადაიდო ომისაგან დაზარალებულთა ოჯახების სასარგებლოდ.

ახალ კლუბის ბაღში

კვირას, 11 ივნისს 1917 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება დიდი სახალხო

სეირნობა

გასართობები ბავშვებისთვის და დიდებისთვის: პტი-შვო, ბედნიერების კლიტე, დედოფალა, ყვავილები, ფოსტა, რგოლების სროლა, ბედნიერების ბოჭკა, ტუმბო, საბავშვო გასართობები, კიოსკები და სხვა.

სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი.

დასაწყისი დღის 3 საათზე. შესასვლელი ფასი დიდებისათვის 60 კაპ. მოწაფეთა და პატარებისათვის 35 კაპ. 2019

სახელმწიფო თეატრი

უკანასკნელი წარმოდგენა, კვირას 11 ივნისს

ქართ. დრ. დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

ოტელო

ტრაგ. 5 მოქ. უ. შექსპირის, თარ. ი. მაჩაბელისა.

ოტელოს როლს შეასრულებს ალ. **იმედაშვილი.**

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი,

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 698



,,ახალი კლუბის''მა მასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს ამავე კლუბის წევრთ, რომ კვირას, 18 ივნისს, შუადღის 12 ს., კლუბის შენობაში, დანიშნულია

წევრთა საგანგებო კრება

განსახილველია: მიმდინარე კითხვები და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები. 2024

კავკასიის გლეხთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი გამოსცემს საგლეხო გაზეთს

მიწას

გაზეთი გამოვა ოთხ ენაზე: რუსულად, ქართულად, თათრულად და სომხურად. სატეხნიკო დაბრკოლებათა გამო გაზეთი გამოდის ჯერ-ჯერობით მხოლოდ რუსულად. ხელის მოწერა მიიღება 16 მორიგ ნომრისა—მანეთად. ცალკე ნომერი ეღირება 7 კ. გაზეთი დროებით კვირაში ერთხელ გამოვა. რედაქციის და კანტორის მისამართი წერილებისათვის: ტფილისი, ორბელიანის ქ. № 12, დეპეშისათვის—ტფილისი, „მიწის“ რედაქცია.

ახალი დიდი ცირკი **ახალი დიდი**

ძმ. ეფიმოვების

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთარი ახლად შეკეთებ. კაპიტალური **საზამთრო შენობა, ტელეფ. 19.00**

დღეს, 11 ივნისს, გაიმართება

დიდი სადღესასწაულო წარმოდგ.

გასტროლი რუსეთის ბაიანის ალეშინისა, კრიაჟევისა, **ძმ. ზინკოვსკების და სხ. ჭიდაობენ 5 წყვილი.** 1. აბერგი და ქილინი, 2. მორა და მოზინგი, 3. პუგაჩოვი და ერმაკოვი, 4. მედელაური და სტერსი, 5. ზამუკოვი და ზაგორუიკო.

არბიტრი **კვიტიაკოვსკი.**

ანონსი: ამ დღეებში ჩამოვა ცნობილი ზბიშკო ციგანევიჩი. 701

კოსტიუმები

მოგაწოდებთ საზაფხულო სეზონის საუკეთესოს, უბადლო ტანისამოს ქარხნებში, რკინის გზაზე, ავტომობილზე ჩასაცმელად. ეს კოსტიუმები შეიძლება აგრეთვე სანიტარულ დაწესებულებებში ჩაიცვათ. ფასი 16 მ. 50 კ. საუკეთესო სორტი. 16 მან. 50 კ. სადღესასწაულო კომპლექტები. პიჯაკები, შარვლები, ცისფერი 29 მან. 50 კ. შეკვეთის დროს გთხოვთ შეკვეთილი საქონლის რაოდენობა აღნიშნოთ, აგრეთვე ზომა სარტყლისა. ნაბიჯის სიგრძე. საქონელი ფოსტით გამოგეგზავნებათ, როგორც კი 5 მ. საწინდარს შემოიტანთ,

შესაკვეთი ბარათი და ფული გამოგზავნეთ: მოსკოვს. სტოლეშნიკოვი 7—212. X. ცუკერშტეინს. 118[illegible]

ტფილისი, 11 ივნისი 1917 წ.

უკრაინელთა მოძრაობა. ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა ლაპარაკი უკრაინელების მოძრაობაზე. აღვნიშნავდით, რომ ამ ერმა გასაოცარის სიძლიერით და ერთსულოვნობით აღძრა თავისი საკითხი. მართლაც, საკვირველია ერთი შეხედვით; ერი, რომელსაც ერად არც კი სცნობდნენ, ხალხი, რომელიც მხოლოდ გუშინ გამოვიდა შეგნებულად საპოლიტიკო ასპარეზზე—უცებ შეკავშირდა, დაირაზმა, თავის მტრებს ძალა აჩვენა და ხმა გააკმენდინა. ეს ერთნაირი ახალგაზდური ენერგიაა ერისა და მითი აიხსნება, რომ უკრაინის საქმე თან და თან წინ მიდის, ღრმავდება, ფართო ხასიათი ეძლევა.

უკრაინის ერი საქართველოსავით პატარა და მცირერიცხოვანი როდია, რომ მას ანგარიში არ გაუწიონ. მაგრამ უკრაინელებს აქვთ კიდევ ერთი დიდი უპირატესობა, რომელიც არა გვაქვს, მაგალითად, ქართველებს: საოცარი ერთსულოვნება. უკრაინის ყველა პარტია ერთხმად მოითხოვს ავტონომიას და შედგენილი ჰყავთ თავიანთი რადა. უკრაინელები ერთი იმ ბედნიერი ხალხთაგანია, სადაც ამ განწირულების ჟამს გაისმის ხმა: უკრაინელთა მოძრაობა, უკრაინელთა მოთხოვნილებანი; უკრაინელთა ყრილობამ და არა ცალ-ცალკე პარტიების სახელი ხმა და მოქმედებანი. ეს დიდი ღირსებაა უკრაინელების მოძრაობისა და უეჭველია ისინი მიაღწევენ კიდევაც თავიანთ სანუკვარ მიზანს — სამშობლოს თავისუფლებას. ჩვენ ვიცით, თუ როგორ უყურებდნენ რევოლუციამდე ან როგორ უყურებენ დღესაც ეროვნულ საკითხს რუსეთის ზოგიერთი წრეები. მაგრამ უკრაინის ბედნიერებისათვის მის საპოლიტიკო თავისუფლებისთვის მებრძოლებს ეს არ აღონებთ და ისინი მწყობრად, მეთოდიურად აკეთებენ თავიანთ საქმეს. ამას წინად მათ ითხოვეს უკრაინელ სამხედრო პირთა ყრილობის ნებართვა. სამხედრო-საზღვაო მინისტრმა კერენსკიმ ზრდილობიანი უარი უთხრა—დრო არააო. მიუხედავად ამისა კიევში შეიკრიბა ეს ყრილობა შეიძლება უფრო მრავალ რიცხოვანიც, ვიდრე მოსალოდნელი იყო, მას ორი ათასამდე დელეგატი დაესწრო ყრილობამ პროტესტი განაცხადა რევოლუციის მიერ მოპოებულ თავისუფლებათა დათრგუნვის წინააღმდეგ და საქმეს შეუდგა.

სრულიად მოულოდნელად ამ ყრილობას დეპეშა მოუვიდა. დეპეშაში აღნიშნული იყო, რომ მთავრობა სრულიად არაა წინააღმდეგი. უკრაინელების ჯარის ყრილობისა. იგი აღიარებს სრულ კანონიერებას უკრაინელთა გენერალურ კომიტეტის არსებობისას და მან რუსეთის გენერალურ შტაბთან ერთად უნდა იმუშაოსო. ძალას და ერთსულოვნებას ასეთი გავლენა აქვს. ვინც ეძებს იგი ჰპოვებს.

ჩვენ სიხარულით ვეგებებით უკრაინის თავისუფლების მკვდრეთით აღდგომას, მის შვილების სამშობლოსათვის თავგამოდებულ ბრძოლას, რომელიც სამაგალითო უნდა იყვეს ყველა ჩაგრულ ერებისათვის. უკრაინის დედა-ქალაქ კიევის ბატონპატრონები ეხლა უკრაინელები არიან. საამისო ძალაც შესწევთ. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ჯარის ყრილობაზე ყოფილან მილიონ სამასი ათასი შეკავშირებული უკრაინელი ჯარის-კაცთა წარმომადგენლები.

ერთი სიტყვით, უკრაინის საკითხი მორიგი, დღიური საკითხია. მასში, როგორც ფოკუსში, თავმოყრილია თითქმის ყველა დამახასიათებელი თვისებები ეროვნულ მოძრაობისა. მათ მოსთხოვეს დროებით მთავრობას პრინციპიალურად აღეარებინა უკრაინის ავტონომია. უკანასკნელმა უარი უთხრა, მაგრამ ჩქარა იძულებული იქნება ალბად უკან დაიხიოს და არამც თუ პრინციპიალურად აღიაროს, არამედ მომხდარ ფაქტთან განხორციელებულს ავტონომიასთან ჰქონდეს საქმე.

მაშ ასე. მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატებისთანა პოლიტიკოსები „ბრძოლას“ უცხადებენ უკრაინას და მის მოძრაობას, ამ უკანასკნელებს მათი არ ეშინიათ და მედგრად მიისწრაფიან წინ. უეჭველია მათი ხმა ისევე ძლიერი იქნება ბოლომდე. როგორც ეხლა. ვუსურვოთ ამ ენერგიან ხალხს ასრულება მის საუკუნოვ შვილთა ოცნებისა, ეკლიან გზის მალე გავლა და მოპოვება ამდენი ხნის სანატრელ ეროვნულ თავისუფლებისა.

ქართული პრესა

„ჩვენი მეგობარი“ ეხება კავკასიის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა წარმომადგენლების ყრილობის დადგენილებებს. გაზეთი ამბობს:

ახლა ვიკითხოთ, რა სთქვა ყრილობამ მიწის შესახებ.

უნდა ჩამოერთვას მიწები სახელმწიფოს, ეკლესიას, მონასტრებს, უფლისწულებს, კაბინეტს და კერძო მიწადმფლობელებს, ვისაც კი განსაზღვრულ ნორმაზე მეტი აღმოაჩნდებაო (იხ. „ჩვენი მეგობარი" № 364) ეს სიტყვა-სიტყვით ის გახლავსთ, რასაც იმ თავითვე მოითხოვდა ჩვენი პარტია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ წვრილ მესაკუთრეთა შესახებ ს.-ფედერალისტთა პარტიის პროგრამაში ცალკე მუხლია, სადაც გარკვევით არის აღნიშნული, რომ მათ მიწას ხელს ვერავინ ახლებს.

მაშ ამ მხრით ჩვენსა და ს.-დ-ებს შორის სრული თანხმობაა, მაგრამ როგორ უნდა მოვექცეთ ჩამორთმეულ მიწათაგან შემდგარ ფონდს? ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთელი ეს მიწა უნდა გადაეცეს სრულიად უსასყიდლოდ მიწის მუშათა საზოგადო საკუთრებად, რადგან ვფიქრობთ, რომ ვისიმე საკუთრებას შეიძლება შეადგენდეს მხოლოდ მიწაზე დახარჯული შრომა და არა თვით მიწა, ჩვენ ვფიქრობთ აგრეთვე, რომ აგრარული რეფორმა მოკლებული იქნება ყოველსავე აზრს, თუ მას მიზნად მიწის მუშის მდგომარეობის გაუმჯობესება არ ექნება დასახული.

იმის გამო, რომ მას ორი კვალი მიწა აქვს, მშრომელი გლეხობა ჩვენ სოციალიზმის მტრად არ მიგვაჩნია და დიდად გვწამს ის შემოქმედი სოციალური როლი, რომელიც უნდა ითამაშოს სოფლის მეურნეობაში მშრომელთა მწარმოებელმა და მომხმარებელმა კოოპერაციებმა. ჩამორთმეული მიწების მუშათათვის გადაცემა საერთო საკუთრებად სწორედ ის პირველი ნაბიჯი იქნება, რომელიც ამ სოციალურ გარდაქმნას გაადვილებს.

სულ სხვა გვარია ტფილისის ს.-დ-ული ყრილობის შეხედულება. ამ ყრილ. რეზოლიუციის მიხედვით ჩამორთმეული მიწა უნდა გადაეცეს ადგილობრივ თვითმართველობათ, ხოლო მიწის მუშა ამ მიწით სარგებლობისათვის გადაიცემა იჯარით!

ისიც კი ვერა სთქვეს „მუშათა პარტიის" წარმომადგენლებმა, რომ მიიჯარადრეთა შორის უპირატესობა საკუთარი ხელით მშრომელ მიწის მუშას მისცემოდა. ვერც იტყოდნენ, რადგან ჯერაც ვერ განთავისუფლებულან კონცენტრაცია - პროლეტარიზაციის იდეის ჰიპნოზმისაგან და ამიტომ არც გლეხობის სოციალური შემოქმედება სწამთ, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელი მათი ძალა სწორედ ამ გლეხობაზე ემყარება ჩვენში მაინც.

ამ შემთხვევაში უმადურობა და დოქტრინიორობა ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდიან.

სოც.-დ.-ბის რწმენით მიწის მუშა ვერ შესძლებს საწარმოო კოოპერაციის საშუალებით წინ წასწიოს მიწათ-მოქმედება და ამიტომ ადგილი უნდა დაუთმოს კაპიტალის პროგრესიულ როლს. მათი აზრ თ მიწის მუშა, სანამ იგი მესაკუთრეა, ვერ შეითვისებს სოციალიზმს და ამიტომ ფართო გზა უნდა გაეხსნას პროლეტარიზაციის პროცესს.

აი მიზეზი იმისა, თუ რად უნდა იხადოს მიწის მუშამ თვითმართველობის სასარგებლოდ ის იჯარა, რომელსაც წინათ მემამულეს აძლევდა. ცხადია, მიწის მუშისათვის მთელი ეს „რეფორმა" მხოლოდ ექსპლოატაციის ფორმის გამოცვლაში გამოიხატება.

ასეთი არის არსებითი მხარე ს.-დ. რეზოლიუციისა, მაგრამ ერთგვარ ინტერესს არც მისი დეტალებია მოკლებული. მაგ. გლეხებს უნდა გადაეცეს ჩამონაჭრებით. მერე სად უნდა მოძებნოს ჩვენმა რეფორმატორებმა ეს ჩამონაჭრები? ნუ თუ ერთი კვალი მიწა, რომელიც დიდი ხანია მებატონისაგან რომელიმე გლეხს შეუძენია თავის ნაოფლარით, მას უნდა წაართვან? მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია. ეგებ ჩამონაჭრების ფულად დაბრუნებაზეა ლაპარაკი, მაგრამ კონტექსტი ნებას არ გვაძლევს ასე ვიფიქროთ. ხოლო თუ გვეტყვიან, რომ ჩამონაჭრები გლეხებს საერთო მიწის ფონდიდან მიეცემათო, მაშინ ჩვენ ვიკითხავდით, რატომ უნდა მიეცეს მიწა, მხოლოდ იმ გლეხებს, რომელთაც ჩამონაჭრები ხვდებათ და არა იმათ, ვისაც მიწა ყველაზე მეტად უჭირთ! მეორე კურიოზი: საქართველოს ტყეების პატრონობა უნდა გადავიდეს კავკასიის თვითმართველობის ხელში. მერე რატომ? ტყეებით მდიდარი ბაქოსა და ერევნის გუბერნიის დახმარება გვეჭირვება ამ საქმეში თუ საქართველოს „სრული თვითმართველობის" ავტორნი შიშობენ, რომ მეტად გააფართოებენ მის კომპეტენციას, თუ შიგ ტყეების მოვლას შეიტანენ?

ნარკვევი

მენშევიკების გაზეთი „ვპერიოდი" შემდეგსა სწერს:

სამი ნოტითა და ერთი ანექსიით გვიპასუხეს ჩვენ მოკავშირე სახელმწიფოებმა. სამი სიტყვიერი და ერთიც ფაქტიურ პასუხის (იგულისხმება ალბანეთის მითვისება იტალიის მიერ) მოკავშირენი ყოველ ნაბიჯზე უარჰყოფენ რევოლიუციონურ მთავრობის საგარეო პოლიტიკას.

განსაკუთრებით აშკარად გამოგვეხმაურა საფრანგეთის მთავრობა, ალბად იმიტომ რომ მისი იმპერიალისტური პოლიტიკის მადა ცოტად თუ ბევრად ნაკლებია ვიდრე სხვა ჩვენ „მამაც" მოკავშირეთა ანექსია კონტრიბუციისაკენ ლტოლვა. ფრანგები არ მალავენ, რომ ისინი ანექსიისა და კონტრიბუციის მომხრენი არიან და ერთა თვითგამორკვევის უფლებასაც მხარს არ უჭერენ.

ფრანგების ნოტას ზურგს უმაგრებს სენატის რეზოლიუციები და მინისტრ რიბოს სიტყვა ამ ნოტაში აღნიშნულია თუ რად ვერ ივლიან საფრანგეთი და რუსეთი ერთს გზაზე.

ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ანექსიისა და ერთა თვითგამორკვევის უფლებას მხარს ვუჭერთ. საფრანგეთის ნოტა კი ელზას-ლოტარინგიას ეპოტინება. ნოტა ამ შემთხვევაშიც ემყარება პალატის კატეგორიულ რეზოლიუციას: ელზას-ლოტარინგია. მშობელ ერის წიაღს უნდა დაუბრუნდესო ფრანგების ნოტა კონტრიბუციასაც აპარებს ჩუმად ზარალის ანაზღაურებიდ სახელით, ისე რომ დემოკრატიამ არ შენიშნოს.

ყველაფერი ამით ძლიერ კმაყოფილი არიან „ნოვოე ვრემია", „რუსკოე სლოვო" და „რუსკია ვედომოსტი" ყველაფერმა ამან, ამბობს დასასრულს „ვპერიოდ" კიდევ ერთხელ უნდა დაარწმუნოს რუსეთის დემოკრატია, რომ მოკავშირე სახელმწიფონი მისი მოკავშირენი კი არა, მტრები არიან. პალატის საიდუმლო სხდომაზე კაშენი ირწმუნებოდა ამ ნოტის გაგზავნა დიდ პროტესტს გამოიწვევს რუსის დემოკრატიის მხრითო, მაგრამ იგი მაინც მიღებულ იქნა. ეს ხმალში გაწვევა ჩვენ უნდა მივიღოთ. რევოლიუციონერმა მთავრობამ უნდა განუცხადოს მოკავშირეებს რომ რუსის ხალხს არ შეუძლია ანექსიისა და კონტრიბუციის ლოზუნგებით იომოს.

მაგრამ თუ ჩვენ მოკავშირეთ შევებრძოლებით, ამით მოკავშ. სახელმწიფოების დემოკრატიას ვერ დავიახლოვებთ. ერთად ერთი გზა დაგვრჩენია ესაა სარბიელი ინტერნაციონალობისა.

რევოლიუციის დეპეშები

ჯარის-კაცები და ტრამვაი.

მოსკოვი, 9 ივნისი. ქალაქის მოურავმა კიშკინს განუცხადა: ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა აკრძალოს გარდა ავადმყოფ და დაჭრილ ჯარისკაცებისა სხვა სალდათების უფასოდ მოგზაურობა ტრამვაით. მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭომ დაადგინა უფასოდ მოგზაურობა სალდათებისა. ქალაქის მოურავი თხოულობს —საბჭოს დადგენილების განსახორციელებლად მიიღეთ ზომებს.

მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოების წარმომადგენელთა ყრილობა.

პეტროგრადი. 8 ივნისი. სხდომა იხსნება გეგეჭკორის გარეშე განცხადებით: დურნოვოს აგარაკის დალის დროს ანარქისტებმა წინააღმდეგობა გაგვიწიეს და მუშების აღშფოთება გამოიწვიესო. ყრილობის აღმასრულებელმა კომიტეტმა და პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა მოწოდება ანარქისტ-კომუნისტების მოქმედების შესახებ, სადაც სასტიკად ჰგმობს მათ და მათი საქციელი კონტრ-რევოლიუციონურად მიიჩნია.

დიდის ხმის უმეტესობით ყრილობამ მოიწონა კომიტეტის მოქმედება და მოწოდება.

დროებით მთავრობასთან დამოკიდებულების შესახებ გამოიტანეს ესერების და მენშევიკების მიერ წარდგენილი შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინეჲ რა აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენება, ყრილობამ დაადგინა: 1) სამინისტროს პირველ კრიზისის დროს ძალა-უფლება რომ მუშათა და სალდათების საბჭოთა ხელში გადასულიყო, ეს რევოლიუციას დაასუსტებდა და ჩამოიშორებდა ისეთ ელემენტებს, ვისაც თავისთავად შეუძლიან მას ემსახუროს. ამიტომ ყრილობა ადასტურებს პეტროგრადის საბჭოს მოქმედებას, რომელსაც მოჰყვა 20 მარტს დაწყებულ კრიზისის დათავება კოალიციურ სამინისტროს შედგენით.

მოისმინა რა მინისტრების განმარტება ყრილობა სრულს ნდობას უცხადებს და მოუწოდებს მთავრობას უფრო მედგრად განახორციელოს მისგან აღიარებული დემოკრატიული პროგრამა: 1) უნდა მედგრად ეცადოს ზავის ჩამოგდებას უანექსიო უკონტრიბუციოდ და ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებით, 2) განაგრძოს არმიის დემოკრატიზაცია და გაამაგროს მისი ძლევამოსილობა, 3) მიიღოს ზომები სასურსათო საქმის მოსაგვარებლად და სხვ.

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია საჩქაროდ მოწვევა დამფუძნებელ კრებისა.

მინისტრი-სოციალისტები პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ იმ ორგანოს წინაშე, რომელნიც ეხლა შესდგება რევოლიუციის გასაძლოლად. ყრილობა მოუწოდებს ენერგიულად შეკრანენ რევოლიუციონურ დაწესებულებათა—მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა გარშემო.

კერენსკი და ჯარი.

ეკატერინბურგი, 8 ივნისი. მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭომ განიხილა კერენსკის ბრძანება: კვიროაში ორჯერ მაცნობეთ ომის მოწინააღმდეგეთა მიქმედებანიო. საბჭომ უარჰყო ბრძანება და გამოაცხადა, რომ იგი, როგორც ჩვენი ღირსების შემნახველი, ეკატერინ. ბურგში ვერ იმოქმედებსო.

ფილანდიის სოც.-დემოკრატიის დეკლარაცია.

ჰელსინგფორსი, 8 მაისი. ფინლანდიის ს. დ. ყრილობამ შემდეგი შინაარსის რეზოლუცია მიიღო ფინლანდიის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. „რუსეთის რევოლიუციამ გაანთავისუფლა როგორც ფინლიანდია, ისე მთელი რუსეთი მონობისა და ცარიზმისაგან. ახლა ფინლანდია უნდა განვანთავისუფლოთ რუსეთის ბურჟუაზიის ბატონობისაგან. რომელიც დღეს თუ ხვალ უსათუოდ შეუდგება ფინლანდიის ეკონომიურად დარბევას. ამ მოსაზრებით რუსეთის მთავრობას არ უნდა მივაკუთვნოთ ფინლანდიის კანონმდებელი სეიმის დათხოვნა მოწვევის ვადის დანიშვნის უფლება. სეიმს ნება უნდა ჰქონდეს თვითვე გადასწყვიტოს ფინლანდ ის ფინანსიური და სადამოჟნო კითხვები. უსამართლობა იქნება რუსეთის მთავრობას რომ ნება მივცეთ გავლენა მოახდინოს ფინლანდიის მთავრობის წევრების არჩევნის დროს. ფინლანდიაში რუსეთის მთავრობას არავითარი უფლება არა აქვს ფინლანდიის ერის უმაღლეს მართებლობის პირით ილაპარაკოს. ფინლანდიის საკუთარი მართებლობა უნდა ჰყავდეს იგი მხოლოდ ფინლანდიის წარმომადგენლებისაგან უნდა იყოს დამოკიდებული. საკუთარი არმია ფინლანდიის სრული დამოუკიდებლობის დროსაც არ დასჭირდება. უსამართლობა იქნებოდა რუსის მმართველ წრეებს ფინლანდიაში გამაგრებული ადგილები რომ მიეცეს, რადგან ისინი თავის იმპერიალისტურ პოლიტიკის ზედსაყრდენათ გამოიყენებდნენ მათ, ამგვარად რუსეთის ბურჟუაზიის ლტოლვას, ფინლიანდიის პოლიტიკური ვექილობისაკენ მიმართულს! ფინლანდიის სოციალ-დემოკრატია უპირდაპირებს ფინლანდიის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის პრინციპს. ფინლანდიის დამოკიდებლობის საკითხი უსათუოდ ინტერნაციონალურია, რადგან რუსის ბურჟუაზია საკმაო გარანტიას ვერ მიანიჭებს ფინლანდიის ერის ხელშეუხებლობას და ამიტომ ფინლანდიის თავისუფლების გასამკვიდრებლად საერთაშორისო გარანტიაა აუცილებელი.

პეტროგრადში მოწვეულ მ. და ჯ. ქ. დეპ. ყრილობაზე დასასწრებლად გამოგზავნილმა ფინ. ს. დემოკრატებმა ეს რეზოლიუცია თან წამოიღეს, რათა შესაფერ დროს ყრილობას წარუდგინონ ეს რეზოლიუცია.

ძველი რეჟიმის მოტრფიალენი.

სევასტოპოლი. ამ უკანასკნელ დროს მიტინგებზე მრავალ ოფიცერს გამოეცხადა უნდობლობა და წყრომა, რადგან მათზე ეჭვი ჰქონდათ; ძველი რეჟიმის ტრფიალში. შეიპყრეს შემდეგი ოფიცრები: გრუბერ კუზმინი პლოტნიკოვი და ესტეტცი. დელეგატების ყრილობა დადგენილება გამოიტანეს ამირბარ კოლჩიკის გადაყენების შესახებ.

მუშ. და ჯ. ქ. დეპ. ყრილობა.

პეტროგრადი, 9 ივნისი. მსჯელობა იქონიეს სახელმწიფო სათათბიროს შესახებ. შემოტანილ იქმნა სამი რეზოლიუცია: „მენშევიკებმა და ს. რევოლიუციონერებმა შემდეგი შინაარსის დეპეშა შემოიტანეს: მივიღეთ რა მხედველობაში, რომ ამ უკანასკნელ დროს სათათბიროს ყოფილი წევრები სათათბიროს წევრების ნიღაბით ხალხში იმპერიალისტურ აგიტაციას ეწევიან, და თავიანთ გარშემო კონტრრევოლიუციონურ ჯგუფების შემოკრებას აპირებენ, ამიტომ რუსეთის რევოლიუციამ 1) ძველი რეჟიმის განადგურებასა, და გაუქმებასთან ერთად გააუქმა როგორც სახელმწიფო სათათბირო, ისე სახელმწიფო საბჭო, და მათ ამიერიდან სახელმწიფოებრივი ორგანოს ძალა უფლება აღარ უნდა აქვთ. 2) რევოლიუციამ მათ წაართვა ის პერსონალური შემადგენლობა წოდებრივობისა, რომელიც ძველი მთავრობისგან ჰქონდათ ბოძებული 3) მოესპოს როგორც სათათბიროს ისე საბჭოს აუცილებელი საარსებო სუბსიდიის. ძლევა 4) ამიტომ სათათბიროს ყოფილი წევრების გამოსვლა, ამიერიდან თავისუფალი რუსეთის თავისუფალ მოქალაქეთა გამოსვლად ითვლებოდეს ურწმუნებოდ უმანდატოდ. ეს რეზოლიუცია მიიღეს მარტოვის შემდეგის შესწორებით! სოციალ-დემოკ. და შრომის ჯგუფის ფრაქციების წარმომადგენელნი დაუყონებლივ უნდა გამოვიდნენ სახელმწ. სათათბიროს კომიტეტისგან. კენჭის ყრის დროს „ბოლშევიკებმა და ინტერნაციონალისტებმა თავი შეიკავეს.

ყრილობა ეხება ომის საკითხს. მომხსენებელი დანი დაჟინებით მოითხოვს სეპარატიული ომის პრინციპს, რადგან მისი აზრით, სეპარატიულ ომს, სეპარატიული ზავი მოჰყვება აუცილებლად. ომი კი რევოლიუციონურ ომად გადავაქციოთო ამბობს მომხსენებელი.

ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ საერთაშორისო ზავის ჩამოსაგდებად რათა ქვეყნის მეურნეობა კატასტროფა ასცდეს. დანი აღნიშნავს: „ობორონცებისა და ინტერნაციონალისტების შეხედულებანი ომის საკითხზე არსებითად ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს. ინტერნაციონალისტები ომს ვიწრო ნაციონალისტურის კრიტერიუმით უდგებიან ხოლო „ობორონცები" მსოფლიო მასშტაბითო. მოკავშირე სახელმწიფოთა ინტერესები ისე გადახლართულია ერთ მეორეზე, რომ სეპარატიულად გამოსვლა ამ ჯალოსნური წრიდან შეუძლებელი და უნაყოფოცაა. მთავრობა მოიწვევს საგანგებო კონფერენციას ძველი, ხელშეკრულობების გადასასინჯავად, მდგომარეობა არ იძლევა ულტიმატუმების წამოყენების ნებას, რადგან შეიძლება ოთ მოკავშირე სახელმწიფოების შორის კონფლიქტი გამოიწვიოს და უკანასკნელს კი სეპარატიული ზავის ჩამოგდება მოჰყვებაო.

ერებისადმი მიმართულ ნოტას იმ შემთხვევაში ექნება რაიმე მნიშვნელობა, თუ მას მოკავშირე სახელმწიფოთა დემოკრატები დაუჭერენ მხარს, არსებითად მას სააგიტაციო მნიშვნელობა ექნება. რუსეთის საზავო კამპანიას რომ სასურველი შედეგი მოჰყვეს, ამისთვის ძალაა საჭირო, ქვეყნის ძალა კი მისი შეკავშირებული არმიის ძალით განიზომება. ამისთვის ჯარი მზად უნდა იყოს სამოქმედოთ, დეზერტირებმა სავაგონებით გააფუჭეს ტრანსპორტის საქმე. ჯარის უფროსთა პერსონალის დემოკრატიზაცია უნდა მოხდეს, რათა იგი „არმიისა და ხალხის ნდობით. იყოს აღჭურვილი.

ლენინი ნათლად და სავსებით ახასიათებს დღევანდელ იმპერიალიზმს და ამბობს: ეს ომი გერმანიასა და ინგლისს შორის არსებობს პირველობის მოსაპოვებლად და დანარჩენი სახელმწიფოები მხოლოდ მათი დამქაშები არიანო.

ლენინის აზრით, ეს ომი ცარიზმისა და იმპერიალიზმის პოლიტიკის გაგრძელებაა. საჭიროა მოკავშირე სახელმწიფოთა საიდუმლო ხელშეკრულობანი გამოქვეყნებულ იქმნას, რათა ყოველმა მოქალაქემ შეგნოს თუ რისთვის მიჰყავთ იგი სასაკლაოზე. ლენინი უარჰყოფს იმ პირებს, რომელთა მიხედვითაც „ბოლშევიკებს სეპარატიულ ზავის ჩამოგდებისაკენ მიმართულ ტენდენცია მიაწერენ.

ლენინს არა სურს გერმანელებთან შეკავშირება.

ამ ომის სეპარატიულად დაბოლოება არ შეიძლება; ჩვენ უნდა დავამტკიცოთ რომ ჩვენ გულწრფელად ვემხრობით უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს მხარს ვუჭერთ, ჩვენ უარი უნდა ვსთქვათ უკრაინის, ფინლანდიის და სომხეთის ანექსიაზე, გამოვაქვეყნოთ საიდუმლო ხელშეკრულებანი და განვაცხადოთ, რომ არ შეგვიძლია ინგლისისა და საფრანგეთის ნაძარცვ-ნაქურდალის დაცვა—ინგლისი ახალშენებზე ხელს არ აიღებს, ომიც ხელსაყრელია მისთვის. ინგლისის მხრივ რუსეთის შველა ეს ის თავია, რომელიც ჩამოხრჩობილს სახრჩობელაზე ამაგრებს. ლენინი მოუწოდებს მსმენელთ: ვებრძოლოთ რუსის ბურჟუაზიასო!

კერენსკიმ წაიკითხა ბავარიის პრინც ლეოპოლდის რადიოტელეგრამა.

მეამბოხის განთავისუფლება.

ლონდონი, 9 მაისი. რუსის ქვეშევრდომ მარკევიჩი, რომელიც 1916 წლის ირლანდიის აჯანყებაში იღებდა მონაწილეობას გაანთავისუფლეს.

გერმანელები სამხ. ფლანდრიიდან მიდიან.

კოპენჰაგენი, 8 ამსტერდამიდან იუწყებიან: გერმანელები სამხრეთ ფლანდრიას სცლიან.

ომის დეპეშები

პეტროგრადი. 8 და 9 ივნისი. ოფიციალური, ცნობა მთავარ ბანაკიდან. დასავლეთის და რუმინიის ფრონტზე სროლა და მფრინავთა მოქმედებაა.

კავკასიის სასპარეზო: კიად-კეტის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარმა აიღო ოსმალთა პოზიციები აიმურის ჩრდილოეთით. ყველა იქ მყოფნი ამოხოცილია. სერდეშტის ჩრდილოეთით ქურთებთან მცირე შეტაკების შემდეგ ჩვენ წინ წავიწიეთ.

ჩამოვარდა და დაიღუპა ერთი საუკეთესო მფრინავთაგანი კრუტენი. თავის მოქმედების დროს მან გერმანელთა 6 ჰაეროპლანი დაამსხვრია.

პეტროგრადი. 8 თიბათვე. კავკასიის ფრონტი. ერძინჯანის სამხრეთით ქურთებმა შემოგვიტიეს. ჩვენმა ჯარებმა კონტრიერიშებით უკუაქციეს ქურთები.

მფრინავნი. შტაბს-როტმისტრმა კაზაკოვმა გერმანელთა ჰაეროპლანი ჩამოაგდო პოდგაიცის რაიონში დაატყვევეს მფრინავი.

სეპარატიული ზავი.

ტოკიო. 8 ივნისი. ხმები დადის, გერმანიამ სეპარატიული ზავი შესთავაზა რუსეთსაო, რაიცა მიაჩნიათ გერმანიის დასუსტების ნიშნად. გაზეთები სწერენ, რუსების უმრავლესობა სეპარატიულ ზავის წინააღმდეგია, მაგრამ თუ ასეთი ზავი ჩამოაგდეს, მოკავშირეები თავის მტრად ჩასთვლიან რუსეთსაო.

ახალი ამბავი

◆ **ამხანაგ შ. მესხიშვილი და ალ. წერეთელი**, რომლებიც ამ სამი კვირის წინად წავიდნენ რუსეთში, დეპეშით გვატყობინებენ, რომ ამ ჟამად იმყოფებიან პეტროგრადში.

◆ **მილიციონერის წამება**. 8 ივნისს ღამით, ნაძალადევში სამწუხარო ამბავი მოხდა. მთვრალი ჯარის-კაცები თავს დაეცნენ მილიციონერს, იარაღი წაართვეს და ცემა დაუწყეს. ესეც არ აკმარეს. რევოლვერი მიუშვირეს ს ფეთქლისკენ და გაისროლეს ისე, რომ მილიციონერს შუბლზე ორგან ტყვია ასძვრა. ამის შემდეგ ჯარისკაცნი გაიქცნენ. ბოროტმოქმედების ადგილას შეიპყრეს ერთი ქალი, რომელსაც ჯარის კაცის ტანისამოსი ეცვა. მან განაცხადა, მოწყალების და ვარ მოსამსახურებლად მოველიო. ეს ქალი მაინც საეჭვოდ იცნეს და დააპატიმრეს.

◆ **ცრუ ოფიცრის მოკვლა**. 8 ივნისს, ვორონცოვის ხიდზე ვიღაც უცნობმა, რომელსაც ოფიცრის ტანისამოსი ეცვა, ერთს გამვლელს ჯიბიდან 200 მან. ამოაცალა. იგი გაიქცა, მაგრამ მილიციონერები დაედევნენ უკან და დაუყვირეს, გაჩერდიო. „ოფიცერი" არ გაჩერდა, ამიტომ მილიციონერებმა ორი ტყვია მიაყოლეს და იქვე მოჰკლეს. მოკლულის ვინაობა გამოურკვეველია. ჰფიქრობენ, რომ იგი ხელობით ჯიბგირია. გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ **კრება**. დღეს კვირას 11 თიბათვეს დილის 12 საათზე წმინდა მარინეს ეკლესიაში შესდგება კრება: [illegible] დამამტკიცებლად და სამრევლო საბჭოს ასარჩევად. კრებული ამავე ეკლესიისა უმორჩილესად სთხოვს პატივცემულ მრევლს დაესწრონ ზემოდ აღნიშნულ კრებას.

◆ **გაზეთის გამყიდველთა კრება** გაიმართება დღეს, 11 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზე, პუშკინ ს სახელობის სამკითხველოში (ალექსანდრეს ბაღი). განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც დაკავშირებულია კანტორის დაარსების საქმესთან.

◆ **ოტელო სახელმწიფო თეატრში**. დღეს, 11 ივნისს, სახელმწიფო თეატრში უკანასკნელი წარმოდგენა იმართება ამ სეზონში წარმოდგენილ იქმნება ქართულად „ოტელო", რომელშიაც ოტელოს როლს ალ. იმედაშვილი შეასრულებს.

◆ **მ. ა. ჯაბარის გარდაცვალება**. ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტფ. ქალაქის გამგეობის წევრი მიხეილ ალექსანდრეს ძე ჯაბარი.

◆ **უწესოება ავლაბარში** 9 ივლისს ღამით ავლაბარში უწესოება მოხდა, 300-დე ჯარისკაცნი, რომელთა შორის მთვრალებიც იყვნენ, მილიციონერს შემოეხვივნენ და მოსთხოვეს, გვიჩვენე სად იშოვება ღვინოო. როცა უარი მიიღეს, შემოეხვივნენ მას, სცემეს და დასჭრეს კიდეც რევოლვერით. შემდეგ მიადგნენ სასადილოს „სოიუზს", სადაც ღვინო ეგულებოდათ და სულ აიკლეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. ტფ. აღმასრულებელმა კომიტეტმა განკარგულება მოახდინა, რათა ავლაბარში მილიციონერთა რიცხვი გაძლიერებულ იქმნას.

◆ **ტელეგრაფი ძალიან დატვირთულია**. ამიტომ დროებით აღკრძალულ იქმნა ყოველგვარ მისალოც დეპეშის გაგზავნ გამოგზავნა.

◆ **კომისარებს და მილიციონერებს** დაევალათ, ყოველთვის თან იქონიონ მათის ვინაობის დამამტკიცებელი მოწმობები.

◆ **კავკასიელ პოლონელთა ყრილობა**. ტფილისში დაარსებულ კავკასიელ პოლონელთა ორგანიზაციების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ინჟინერი კრიჟანოვსკი და მდივანი გებელი გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ამ მოკლე ხანში იგინი მოიწვევენ კავკასიაში მყოფ პოლონურ ორგანიზაციების ყრილობას.

◆ **ქალაქის საბჭოს კრება** ორშაბათს, 12 ივნისს გაიმართება. საბჭო, სხვათა შორის, მოისმენს ქალაქის მოურავის მოხსენებას ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილების რეორგანიზაციის შესახებ.

◆ **ქალთა შორის**. ხვალ, ორშაბათს, 12 ივნისს, საღამოს 6 ნახევარ ს., დიდუბის საეკლესიო სკოლის შენობაში მოხდება ტფ. ქართ. ქალთა საზოგადოების დიდუბის რაიონის დამფუძნებელი კრება.

◆ ამ მოკლე ხანში ტფ. ქართველ ქალთა საზოგადოების მიერ ტფილისში მოწვეულ იქნება ყველა ქართველ ქალთა საერთო ყრილობა.

◆ **დიდი სახალხო სეირნობა**. დღეს, 11 ივნისს, ახალ კლუბის ბაღში დიდი სახალხო სეირნობა გაიმართება ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების სასარგებლოდ. წმინდა შემოსავლის 10% ომისაგან დაზარალებულთა ოჯახების სასარგებლოდ გადაიდება. სეირნობა დაიწყება ნაშუადღევის 3 საათზე. შესასვლელი ფასი: დიდებისათვის 60 კ. მოწაფეთა და პატარებისათვის 35 კ. ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და სახანდარი. იქნება მრავალი გასართობი.

სოფლად და ქალაქად

გორი.

◆ დღეს ქ. გორში ამხ. თედო ღლონტი წაიკითხავს საჯარო ლექციას ავტონომიისა და ფედერაციის შესახებ.

ჭიათურა

◆ დღეს ამხ. შალვა ნუცუბიძე ჭიათურაში წაიკითხავს საჯარო ლექციას—„რუსეთის რევოლიუცია და ეროვნული საკითხი".

საქ. სოც. ფედ. პარტიაში

სამშაბათს, 13 ივნისს, საღ. 7 ს, სოც.-ფედ. პარტიის ბინაზე (ძველი სემინარიის შენობაში), გაიმართება შეერთებული კრება ტფილისისა და ყველა საუბნო კომიტეტების კრება. ამხანაგებს ვთხოვთ უეჭველად დაესწრონ კრებას.

— **ხარფუხის საუბნო კრება**. კვირას, 11 ივნისს, საღ. 7 ს., გაიმართე-

ა ხარფუხის სოც.-ფედ. სარაიონო რიგი კრება „განათლების“ სკოლის ნობაში, იბასებენ საპროგრამო და ლეგიისო საკითხებზე. სურფ-სარქი- ჟ № 48.

— ვერის სარაიონო კრება. ორშა- 12 ივნისს, საღამ. 7 ს., ქარ- ულ გიმნაზიაში გაიმართება ვერის ც.-ფედ. სარევოლიუციო პარტიის ვნო მორიგი კრება.

— მიტინგი. წმ. ნინოს სამრევლო ლის ეზოში დღეს, ნაშუადღევის ს. დანიშნულია მიტინგი, სადაც ლაპარაკებენ სხვა და სხვა პარტიის რმომადგენელნი მიმდინარე საკი- ებზე.

ხუთშაბათს, 8 ივნისს ერთობის ბაში გაიმართა სოც.-ფედ. პარტიის რთობის საუბნო კრება. კრების სა- ნი იყო ქალაქის მომავალი არჩევნე- ი. აირჩიეს საუბნო კომიტეტი.

ზესტაფონი. სამშაბათს 6 ივნისს დგილობრივ თეატრის დარბაზში ამხ. აკაკი პაპავამ, წაიკითხა მოხსენე- ა აგრარულ საკითხზე. მოხსენების შემდეგ გაიმართა ცხარე კამათი. თავ- მჯდომარეობდა ამხ. მ. ბასილია (სოც.-რევ.). კამათში მონაწილეობა იღეს სოც.-დემოკრ.

ამხ. პაპავას საპასუხო სიტყვას კრე- ბის უმეტესობა ხშირად აწყვეტინებდა მხურვალე ტაშის ცემით. შემდეგ მრა- ვალი შეკითხვები მისცეს მომხსენე- ბელს სოც.-დემ. მათი აშკარა დამარ- ცხება ცხადი გახდა და ბოლოს სოც.- დ. სხვანაირად რომ ვერა გააწყვეს რა თავმჯდომარეს, სოც.-რევ. შეეკითხნენ —იზიარებენ თუ არა ისინი ყველა- ფერში სოც.-ფედ. აზრს.

თავმჯდომარემ უპასუხა, რომ სხვა საკითხზე დღეს ლაპარაკი არა გვაქვს, ხოლო აგრარულ საკითხში ჩვენ ყველაფერში ვუერთდებით მომხსენებელსო, აღარც ეს ხრიკი გაუვიდათ სოც.-დემ. და ეს ორი მონათესავე პარტია ერთმანეთს ვერ გადაეკიდეს.

ამხანაგებო და მოქალაქენო!

ემზადენით ქალაქის არჩევნებისთვის. ნურავინ დაჰკარგავთ ხმას. ხმის დაკარგვა დანაშაულობაა. აასრულეთ თქვენი მოქალაქობრივი მოვალეობა

ჩემი პატარა თავგადასავლები

მოსკოვში, ჩვენ, ქართველ სტუდენტებს დიდ პატივსა გვცემდნენ რუსი ამხანაგები რევოლიუციის დროს. ჩვენი რაზმი გრადონაჩალნიკის სახლში (охранка-ში) იდგა. სახიფათო საქმეზე მუდამ ქართველებსა გვგზავნიდნენ: პრისტავი იყო დასატუსაღებელი, ჩვენ გაგვგზავნიდნენ, ჟანდარმები იყვნენ დასაჭერი, ჩვენ გაგვგზავნიდნენ, კატორღიდან გამოქცეული კაცის მკვლელები იყვნენ შესაპყრობნი და ისევ ჩვენ გვგზავნიდნენ. ჩვენც პირნათლად ვასრულებდით ჩვენს მოვალეობას. საითაც წავიდოდით პატივს ია-ვარდათ გვიფენდა წინ რუსის ხალხი და ჩემს დღეში არ დამავიწყდება შემდეგი ერთი შემთხვევათაგანი მთელ დღეს და ღამეს დაუსვენებლივ ხან ერთ საპოლიციო უბანში გამგზავნიდნენ, ხან მეორეში, ხან დამიძახებდნენ, პროვოკატორები აგიტაციას ეწევიან, დავიჭიროთო და აი ბოლოს ერთი პროვოკატორი მე დავიჭირე, მივიყვანე ტვერის საპოლიციო განყოფილებაში, ჩავაბარე კომისარსა და დაღლილ-დაწყვეტილი, შიმშილით ყელგადაგდებული, მივდიოდი სახლში. ტრამვაის ვაგონები სულ გაჭედილები იყო ხალხითა და ფეხით გაუდექ გზას, რომ ერთმა მეეტლემ შემატყო დაღლილი ვიყავ და მითხრა, მობრძანდით, ამხანაგო, სახლში წაგიყვანთო. ფასი არა ვკითხე, ჩავჯექი და მისამართიც უთხარი. სახლში რომ მიმიყვანა, გადმოვედი, ჯიბეს გავიკარ ხელი, მაგრამ მეეტლემ შემაჩერა: არა, ამხანაგო, თქვენგან ფულს არ ავიღებ, როგორც თქვენ გვემსახურებით უსასყიდლოდ, ისე ჩვენ მოვალენი ვართ დაგეხმაროთ, ვიდრე თავისუფლება სულ არ განმტკიცდებაო. ეს ისეთი საამურის, ძმურის კილოთი სთქვა, რომ კინაღამ გადავეხვიე, როგორც კარგ ძმას. უპასუხე: ამხანაგო, ჩვენ, მილიციონერებს ტრამვაიზე მუქთი ბილეთი გვაქვს, შემეძლო ტრამვაით წამოვსულიყავ, მაგრამ გამოსეირნება მინდოდა, თორემ ყველა მილიციონერი რომ მუქთად წაიყვანოთ სახლში, ხომ ცოლშვილი მშიერი დაგრჩებათ ამ სიძვირეში მეთქი. მივეცი, რამდენიც ეკუთვნოდა და გულში ისე ნასიამოვნები დავრჩი, რომ დღესაც დილას მომხდარ ამბავივით მახსოვს ეს შემთხვევა. სახლში რომ მივედ, დაღლილობისაგან შიმშილის ვერ მგრძნობი წამოვწექ და ჩამძინებოდა, რომ დიასახლისი შემოვიდა ჩემს ოთახში, გამაღვიძა, მკითხა ავად ხომ არა ხარო, და, თუმცა დიდი უარი უთხარი სადილზე, მაინც შემომიტანა, მატყუებ, მშიერი იქნები, სახეზე გეტყობაო. ეს ყველაფერი რუსეთში მოხდა.

ახლოვდებოდა სამშობლოში დაბრუნების დრო.

ვფიქრობდი: სამშობლოში რომ ჩავალ, ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ექნება, გავიხარებ თავისუფლებით ჩემს მეგობრებში, ჩემს ხალხში, რომელიც ერთი კაცივით ფეხზე იდგება სამშობლოს კეთილდღეობისთვის, სამშობლოს თავისუფლებისთვის მეთქი. თანაც ვეტყოდი: შინ რომ წავალ, ჩემს ამხანაგ მწყემსების სმენას ვერ მოვღლი ჩემი საინტერესო ლაპარაკით თავისუფლებაზე და წინად რომ სტრაჟნიკებისაგან და ქურდებისაგან მოსვენება არა გვქონდა, ეხლა, მოსვენებულებს ახალ ცხოვრებაზე ლაპარაკის მეტი საზრუნავი არაფერი გვექნება მეთქი. თანაც ვფიქრობდი, ჩემ მწყემსებს ჩაუტან ჩემ გძელ თოფსა და ერთი ჯიხვი და ირემი ვერ წაუვათ თვალიდან, რადგანაც ისეთ მანძილზე გარეკავს ტყვიას გძელი თოფი, რომ მსროლელს მიპარვაც აღარ დასჭირდება მეთქი.

დადგა სამშობლოში დაბრუნების დროც.

მივმართეთ მილიციის უფროსსა და განუცხადეთ ჩვენი სურვილი; მან დიდი მადლობა გვითხრა გაწეულ სამსახურისათვის და ყველას დაგვიწერა ნებართვა ყოველგვარ იარაღის შენახვისა და ტარებისა, დაგჭირდებათ სამშობლოშიო. მე კიდეც გამიკვირდა, რა საჭიროა ამ თავისუფლებაში იარაღის ნებართვა მეთქი, მაგრამ ყოველ შემთხვევისთვის მაინც ჩავიდე ჯიბეში.

წამოვედი სამშობლოში.

მთელი რუსეთი ისე გამოვიარე, რომ გრძელი, უშველებელი ბერდენის თოფი ზურგზე მეკიდა და ერთმა კაცმა არა მკითხა ეგ რა გკიდია ზურგზეო. მაგრამ კავკასიის სუნი რო მოვიდა, ერთ-ერთ სადგურზე რუსის ჯარის კაცმა ხელი დამკრა მხარზე და მითხრა: ამხანაგო, ეგ რა გკიდია მხარზე, ნებართვა გაქვსო? მე ჩავიცინე და უთხარი: ჰმ... ნებართვა მაქვს და დამსახურებული კაციცა ვარ მეთქი. თან ჯიბეს დაუწყე ჩხრეკა ნებართვის საჩვენებლად, მაგრამ მან მითხრა, არა, მე რას მიჩვენებ, წამოდი კომენდატს უჩვენეო. ამით თითქო ის მითხრა, წამოდი, სულ ერთია ოთხმოცი ნებართვაც რომ გქონდეს თოფს მაინც ჩამოგართმევთო.

არ მესიამოვნა.

გავყე და კომენდანტმა მითხრა, მართალია ნებართვა გაქვთ, მაგრამ საქართველოში თოფის გატანება ყოვლად შეუძლებელიაო. ბევრი ვიცხარე, ვიღელვე, მაგრამ ბოლოს ჩამომართვეს სულ იარაღი და გაპლუტებული გამომისტუმრეს.

რამდენიც უახლოვდებოდი საქართველოს, სული მეხუთებოდა და ვღონდებოდი, ვოხრავდი. ბაქოში ერთი სომეხი ჯარის კაცი ცდილაც თათარს ხანჯალსართმევდა, რატომ ნებართვა არა გაქვსო, და ხალხს კიდევ ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქო სულ ერთმანეთის მტრები არიან და ერთმანეთისავე დასაზვერად გამოსულანო.

ჩამოვედი ტფილისში.

ორი ჯარის კაცი გამომედევნა სადგურზე; როგორც საეჭვო პირს, აქეთიქიდან მომშიარეს, მაგრამ ჩემ ბედად ერთი ნაცნობი ოფიცერი შემხვდა და იმან მიხსნა, თორემ ადვილი შესაძლებელი იყო დავეტყვევებინე.

ტფილისში უფრო შემეხუთა სული.

რევოლვერის ცარიელი ბუდე მეკიდა. ეს რომ დაინახეს ტფილისელმა მილიციონერებმა, ასტეხეს სტვენა. ოთხმოცამდე კაცს მოუყარეს თავი, შემომეხვივნენ გარსა და დამიჭირეს ნებართვა გაქვს რევოლვერისაო? მე გულიანად გადვიხარხარე და უთხარი: გული დაიმშვიდეთ, რევოლვერი მქონდა და უკვე ჩამომართვეს თქვენმა ამხანაგებმა, ეს ცარიელი ბუდე-ღა შემრჩა ქამარზე სახსოვრადა მეთქი დაკუმშული მუშტები. ამოღებული რევოლვერები წაიღეს უკან და თანაც თავი გაიქნიეს: ჰაი, რევოლვერი ზედ გექნებოდა, ჩვენ გიჩვენებდით შენაო...

მერე ვკითხე ტფილისის ამბები.

შემხვდა ერთი ნეიტრალი მოხუცი და ვკითხე: რასა ფიქრობენ ჩვენი სოციალისტ-დემოკრატები ჩვენს მრავალ წამებულს სამშობლოზე, ჩვენს დაბეჩავებულ და ღირსება-აყრილ ხალხზე მეთქი და მომიგო: სოციალ-დემოკრატები არაფერსა ფიქრობენ, მხოლოდ დილით საღამომდე და საღამოდან დილამდე სხედან და ხმალსა ჰლესენ იმ ხალხისთვის, ვინც იზრუნებს მრავალ-წამებულ სამშობლოსთვის, ღირსება-აყრილ ხალხისთვისაო. მერე სოციალ-ფედერალისტები რაღასა ფიქრობენ მეთქი და ისინიც არაფერსა ფიქრობენ, მხოლოდ ხმალსა ლესენ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგაო.

ამან უფრო დამაღონა და დღემდე სულ იმასა ვფიქრობ, ნეტავ ამაზე ძალიან აღარაფერმა დამაღონოს მეთქი.

ვნახოთ რას დავწერ ამის შემდეგ?!.

ი. მჭედლიშვილი.

ბუს ცრემლები

I.

ერთხელ ხშირ ტყეში ჩიტებსა ქოთი
შეექმნათ, ხმაური
ბუს მიუცვივდნენ და საწყალს დაუწყეს
აურზაური.
ვინ ჰლანძღავს, ვინ ემუქრება
და ვინ საცემად ესევა.
ბუს არცა სტკივა ვითომა
არც გაჭირვება ემჩნევა.
ჩიტები დავიდარაბასს და აყალმაყალს
გრძობენ,
ჰკაკვენ და თანაც უწმაწი
სიტყვა-პასუხით ამკობენ.
ბუ იჯდა, არრას ამბობდა,
მხოლოდ უკვირდა დამწვარსა,
როცა ჰხედავდა საშაროდ
ამ აბორგვებულს ლაშქარსა.
მერე კი, როცა მშვიდობის
სიომ მოჰბერა ჰამქარსა,
კრძალვითა ჰკითხა, რად სცემენ,
ან რისთვის ასხმენ თავს-ლაფსა?
— იმიტომ, უთხრეს: რომ ყველას
გვძულხარ, შე ბებრუცანაო.
—რა დაგიშავეთ, შვილებო,
მე მითომ მაგისთანაო?
— შენ სიტყვას ბანზედ ნუ გვიგდებ
და თავს ნუ იკატუნებო,
თორემო, უთხრეს: „მაგითა
ვერავის შეაცდუნებო:
რაც ვაჟბატონი ჰბრძანდები,
ყველამაც კარგად ვიცითო
და რომ არ ჩამოგვიხჩვიხარ,
კიდევაც დიდხანს ვიცდითო.
ვითომ არავის სთანიობ [1])
დღისით კი იმალებიო
და როცა შემოღამდება,
მაშინ კი გამოსძვრებიო;
დასძწრწი და დაჰხეტიალობ,
ხან კიდეც აჰზრახდებიო,
ვითომ რა არის: „გაიგეთ
რომ ცუდს არრასა ვშვრებიო“.
მაგრამ ჩვენ გაგებული გვაქვს,
რა ცბიერიცა ხარ მზლავანი,
ქურდად სულ მგლა გამოდის,
ყაჩაღად ციცა მჩხავანი,
და შენ კი წმინდაში სდგები
ყველაფრის ავანჩავანი?
ჯერ ამაზედ რას გვეტყვი,
ხომ გაიგონე ბიძია,
აბა ამოსთქვი, თორემა
კუდი არტახში გიბია“. [2])
ბუმ უთხრა: „დარბაისელნო,
გულდასმით მომისმინეთო.
აი მაგაზედ რას გეტყვით,
რასაც თქვენ მიკიჟინებთო.
დიახ, მე ღამე სულ მღვიძავს
ბეჩავს, თვალდაუხუჭავსა,
როცა სუყველა თქვენგანსა
თავის ბუნაგში სძინავსა.
ვფხიზლობ, აქა ვარ, იქაცა,
ხმას ვტეხ და ვაფრთხობ იმასა,
ავ-სამოქმედოდ რომელიც
ჰყვება ბნელების პირასა.
და თუ ხანდახან იმ დროსა
ძილს თქვენაც გიფრთხობთ, შვილებო,
მაგით რად უნდა შემრისხოთ
ვითომ, თქვე დალოცვილებო.
დღისით ხომ ყველაც ფეხზე ხართ,
ჰფხიზლობთ თვალით და ყურითა,
მეც მოსვენებას ვეძლევი
დაამებულის გულითა.
დიდხანს რა დამაყენებდა,
გამოვიდოდი გარეთა,
მაგრამ თქვენ არ მომასვენებთ,
მოხვალთ და გამამწარებთა“.
— „ეხლაც რატომ იქ არ ეგდე,
გარეთ რად გამობრძანდიო,
უკუნეთს რატომ არ ახლდი,
სიბნელეს არა ჰყვანდიო“.
ჩხიკვმა დაიჩხავლა. ისიცა
იქვე ხის ტოტზედ მჯდარიყო
და მასთან ათი, თორმეტი
მოძმე სხვა შემოკრებილიყო.
ბუ და იმისი პასუხი
იმათ აბუჩად აეგდოთ;
უცდიდნენ რაღა, რომ მერე
სულ იოწ-იოწ გაელოთ. [3])
მართლაც, რა ერთი აჩქამდა,
ჩხიკვებმა დაჰკრეს კიჟინი.
ჩიტებიც მიიყოლიეს,
ბუზედ მიიღეს ბიბინი.
იცით, რა არის ჩხიკვთ ომი,
იმათ შული და განგაში?
სხვისა თრევა და წამება
იმათთვის არის თამაში.
ჩაჰკრავს და გაითამაშებს,
თან ჩაიცინებს ჩხიკვუნა.
უამს, რომ ვინმე გაჰკაწრა,
ან თავში ჩაუფაჩუნა.
და მერე განა მოსწყინდათ,
თანთან შევიდნენ ეშხში:
ზოგი გოგრაში არტყამდა,
ზოგი უჭერდა ყელშია.
ბუმაც მოთმენა დაჰკარგა
და, ვინაც მოჰხვდა ხელშია.
ბწკლით და ნისკარტით იმანაც
ორივე ხელი მოიწყო;
ჩიტს მაინც არას ერჩოდა,
ჩხიკვებს კი ომი დაუწყო.
უბღვერდა იმათ, ურქენდა
ეტმევებოდა ბჯღალითა.
და ამ დროს არ დაინახა
ჩვენი ბულბულიც თვალითა
რომ ისიც ეცა და ჩაჰკრა,
ქოქოლა დააყარაო.
ამით კი გული ეტკინა,
ბუმ ცრემლი გადმოღვარაო.
მეჩხუბრებმა სთქვეს: „ეყოფა,
ნულარას ერჩით, კმარაო.
გავსტეხეთ, სტირის, ხომ ჰხედავთ,
ბუმ თითი მოიხარაო
და დიდის ზეიმ-ზარითა
ანდაფი [4]) გაიყარაო.
ბუ კიდევ იჯდა და მერე
ხის ღრუში შეიფარაო.
კარი მოხურა და ის დღე
სულ ბნელში გაატარაო.

II

დაღამდა პირბნელ ხმელეთზედ
ვარამმა მოიკალათა;
სუყველა ვარსკვლავებს გარდა
მიმოილანდა შავადა
ბუმაც სადგომი დააგდო,
თავი გამოჰყო გარეთა,
დაჯდა და მიმოიხედა,
ამოიოხრა მწარედა
და მერე ყური დაუგდო;
ეძინა არემარესა;
მხოლოდ მგელი და მისთანა,
მავალი არიარესა *)
დასუნსულ, დალაწლაწებდა,
ეკვროდა არემარესა:
ბუმ დაიკივლა, და მის ხმა,
რაი სივრცეში ჩავარდა,
მთაბარს სულ პირით პირამდე
ზუნტელივით გაჰკარდა,
ტყეს მოჰხვდა, ხეცხუვს გავიდა
ძიძორზე გაინავარდა.
ორსამჯერ კიდე აჩქამდა
მას შემდეგ ღამის გუშაგი
და მდინარისკენ გაფრინდა,
გასწირა თავის ბუნაგი.
მდინარე უფრო ბნელს ხევში
და უკუნეთში დიოდა,
მაგრამ სიცოცხლე იმისი
ეხლაც სიფხიზლით რბიოდა
და მის გარშემო სიცოცხლე
ჰღუღდა და გადმოდიოდა.
ბუ მიჯდა, ჩამოიბანა
ბოკაწულ, მოფხაჭულები.
მერე მხურვალედ ჩაჰკოცნა
მდინარის ნაკადულები.
საწყალს უნდოდა ეცქირა,
კიდე მის ქვრეტით ეტკბარიყო,
მაგრამ ის—მიიჩქაროდა:
მასთან დგომისა არ იყო.
ბუც გარე იქცა, გასწივა,
უღრანის ტყისკენ გაუკრა,
მიეწვრა და ხიდან ხეზედა
იმან თავისი დაუკრა.

ბაჩანა.

---

[1]) არავის სთანიობ—არავის ჰკადრულობ.

[2]) არტახში გიბია—არტახში გიძევს, საქმე გიჭირს.

[3]) იოწ-იოწ გაელოთ—ნაკუწ-ნაკუწად ექციავათ.

[4]) ანდაფი—კრება, სამყოფი სახლი.

*) არიარე—სავალად [illegible] ადგილი.

რევოლიუციის დღენი და საქმენი

ამბები—ფიქრები

რუსეთის რევოლიუცია ცეცხლის ფრქვეველს მთას ჰგავს. ჯერ კიდევ ბევრს ცეცხლს ამოხეთქავს, ბევრს წალეკავს და გადაღესავს, ვიდრე დაწყნარდებოდეს და დამშვიდებულს ცხოვრებას შეუდგებოდეს. იგი უდიდესი ისტორიული ჟამია რუსის ერისთვის, რუსეთის სახელმწიფოსთვის: რევოლიუციამ უნდა გამოსცადოს ერთიც და მეორეც, უნდა შეამოწმოს, რამდენად ძლიერია სულიერად და შემოქმედი რუსის ერი, რამდენად მტკიცეა რუსეთის სახელმწიფობა და ძალუძს შეინარჩუნოს მთლიანობა ამდენი რღვევისა და დაშლის დროს.

თუ რუსის ერი გამოვიდა ამ რევოლიუციიდან გამარჯვებული და დაამყარა ახალი თავისუფალი წყობილება, მოიპოვებს მთელი კაცობრიობის სიყვარულს და პატივისცემას და მისი სახელი დიდებით აღიბეჭდება ისტორიის ფურცლებზე. ვფიქრობ, რომ საშიში ჯერ არაფერია და უნუგეშობას ადგილი არა აქვს. ის მრავალი არევ-დარეულობა, ცალკე რესპუბლიკების გამოცხადება, წარმოების შესუსტება და შეჩერება, გამწვავება პარტიებსა და ჯგუფებს შორის, ანარქისტული ამბები, ძალმომრეობად გადაქცეული თავისუფლება, რის შესახებ ასე ხშირად ლაპარაკობენ, ოდნავად არ ნიშნავს რევოლიუციის დამარცხებას. საფრანგეთის რევოლიუციამ უარესის მაგალითები დაგვიტოვა. გავიხსენოთ შეუკავებელი ბრძოლა რევოლიუციის მეთაურების, ტერორი, ჯოჯოხეთური მუშაობა გილიოტინისა. ჯერ ამის მსგავსი არაფერია რუსეთში, მაგრამ შესაძლებელი კია. ხოლო ამის მიზეზით ვერ ვიტყვით, რომ ძველი აღსდგება და თავისუფლება სამუდამოდ დაემხობა...

რევოლიუცია მშვიდობიანი პროცესი არაა. მისი გზა სისხლითა და გვამებითაა მოფენილი. იგი ბრძოლაა და ხშირად უფრო სასტიკი ვიდრე საერთაშორისო ომი, რევოლიუცია მორიგებით და პარლამენტარული განაჩენებით კი არ ახორციელებს თავის მისწრაფებას, არამედ ძალით აშენებს, მაგრამ აშენებამდე ანგრევს. ახალი სიცოცხლის მომავლინებელია, ხოლო იარაღი მისი სიკვდილია. უნდა წალეკოს ველი, რომ ამ ველზე შემდეგ აღმოაცენოს მდიდარი და ნაყოფიერი მცენარეულობა. თანასწორობას და სიმართლეს ამყარებს, მაგრამ წინ მიდის ხმლითა და მახვილით. მისი მიზანი სიმშვიდე და ბედნიერებაა, მაგრამ ამისთვის უნდა განვლოს უმწარესი დღეები და ტანჯვის გოლგოთა. მით უფრო მწარეა და ძნელი ტვირთი რევოლიუციისა, რაც უფრო დიადია საქმე გასაკეთებელი!..

* *

ასეთია ბუნება რევოლიუციისა და ნურავინ ეძიებს დღეს მშვიდობას და წესიერებას. ნურც იმას იფიქრებს ვინმე, რომ რევოლიუციის დასასრული მოახლოვებული იყოს. რევოლიუციამ ჯერ სულ მცირე გააკეთა და უმთავრესი საქმეები წინ აქვს. ჯერ რევოლიუცია მხოლოდ აზრია და არა შესრულება. გეგმაა და არა მოქმედება, დარაზმვაა და არა ბრძოლა. ძველი დაიმსხვრა და იმსხვრევა, მაგრამ ახალი არ დამყარებულა. არიან ელემენტები მხოლოდ ახალის შესაქმნელად, არის მასალა, ხოლო რომ აქედან წარმოსდგეს ახალი ცხოვრება, ახალი სახელმწიფო, ამისთვის საჭიროა პოლიტიკური შემოქმედება, რომელიც უნდა გამოიჩინონ რუსისა და რუსეთში მცხოვრებ სხვა ერებმა. ამ პოლიტიკურ შემოქმედებაზეა დამოკიდებული საქმიანობა რევოლუციის დღევანდელ მოღვაწეთა, აქაა ხსნა რუსეთის სახელმწიფოებრივი სიმტკიცისა და მთლიანობისა.

ყველასათვის ნათელია, რომ რუსეთის რევოლიუციის ორი უდიდესი საქმე აქვს მოსაწყობი, რომელიც კიდეც ააშენებს მას, კიდეც დააქცევს. ესაა სახე მომავალი პოლიტიკური წყობილებისა და მიწის საკითხი. რასაკვირველია, არის მუშათა საკითხიც, მაგრამ იგი იმდენად რთული არაა, ნამეტურ დღევანდელი დღისთვის. რუსეთში ამ ხანად აზრთა დიდი დუღილი და ჭიდილია. გარკვეული ლოზუნგები არ შემუშავებულა. განსხვავებაა მიწის საკითხის გარშემო, მაგრამ ეხლანდელი ძალთა განწყობილებას დროს იგი არ გამოიწვევს ისეთს სიმწვავეს, არ წარმოადგენს ისეთს საფრთხეს მომავლისათვის, როგორც სახელმწიფოებრივი წესწყობილების საკითხი, რომელშიაც ჩაქსოვილია მეტად ფართო და ძლიერი ეროვნული ინტერესები. რუსეთი მეტად დიდი და მრავალფეროვანი და მრავალ ეროვანი სახელმწიფოა, თუ რევოლიუციამ ვერ მოარიგა თავისუფლების წიაღში ერების საჭიროებანი და უფლებანი, რუსეთი დღევანდელი საზღვრებისა უნდა დაიშალოს და დანაწილდეს. რუსეთის შემადგენელი ნაწილების შეერთება ნებაყოფლობით და თავისუფლად არ მომხდარა. არ შეერთებია რუსეთს თავის ნებით საქართველოც, როგორც ამას გადმოგვცემდა [illegible] ისტორია. რუსეთის აწ გარდასრულის მართველობის მოღვაწეობა არ ყოფილა ისეთი, რომ კულტურულის გავლენით მაინც შეეთვისებინა და შეესისხლხორცებია ძალით და დაპყრობით შემოერთებული ნაწილები. აღვირ აშვებული ძალადობა, ჩაგვრა, დევნა, უსამართლობა ვერც ერთს ერში აღძრავდა სიყვარულს და ნდობას. საუკუნეების და წლების ტანჯვამ პირიქით ყველას სიძულვილი და მტრობა ჩაუნერგა. განდგომა განიზრახა ისეთმა ლოიალურმა და მშვიდობიანმა მხარემაც კი, როგორიცაა ფინლანდია.

ამნაირი მდგომარეობა უანდერძა ძველმა წეს-წყობილებამ რევოლიუციონურ რუსეთს და ამას მეტად სერიოზული ანგარიში უნდა გაუწიოს. ხანგრძლივმა საერთო ცხოვრებამ ბევრი რამ საერთო მისცა რუსეთის ერებს, მაგრამ თავს ნურავინ მოიტყუილებს—ვითომც ეს ერთობა იმდენად მძლავრი იყოს, რომ არავინ იფიქროს განსვლა და ჩამოშორება. რუსეთის სახელმწიფოებრიობამ აქამდის ვერ შეადუღა და ვერ შეაკავშირა ერები ისე, რომ ადვილად არ განცალკევდნენ, ან არ შეუკავშირდნენ უფრო სხვებს, ვიდრე რუსეთს.

პოლონეთის და ფინლანდიის მაგალითი დიდი გამაფრთხილებელი გაკვეთილია რევოლიუციისათვის...

* *

უნდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ რევოლიუციის მოღვაწენი თუ ყველანი არა, ზოგიერთები მაინც საკმაოდ ჰგრძნობენ ამ საფრთხეს და კიდეც ეძებენ გამოსავალ გზას. ხედავენ, რომ თუ ძირიან ფესვიანად არ შეიცვალა რუსეთის სახელმწიფო მანქანა, იგი ყოვლად უვარგისი გამოდგება და ვერ იხსნის რუსეთს დაღუპვისაგან. მომავალი რუსეთი შეუძლებელია იყოს ცენტრალისტური. უკიდურესი დემოკრატიული რესპუბლიკაც რომ დამყარდეს, თავიდან ვერ აიცდენს სახელმწიფოს უდიდეს განსაცდელს. რუსეთის მთლიანობის ინტერესი დაჟინებით მოითხოვს ფედერატიული მართველობის დაწესებას, რომელიც უნდა უზრუნველჰყოფდეს ყველა ერის ფართო პოლიტიკურ თვითმართველობას, ავტონომიას. თუ არა ფედერაცია, თუ არა თავისუფალი კავშირი თავისუფალ ავტონომიურ ერებისა—ისე წარმოუდგენელია რუსეთის სახელმწიფოს არსებობა. თავისუფალი ერები თავისუფალ რუსეთში—სხვა გზა არ არის და ვინც ამას ვერ ხედავს, ვისაც უნდა ამას აუხვიოს, ის რუსეთის დარღვევისა და დანაწილებისაკენ მიდის, ნებსით თუ უნებლიეთ.

ფრიად საგულისხმიეროა ამ მხრივ სრულიად რუსეთის გლეხთა წარმომადგენლების ყრილობის დადგენილება. ამ დადგენილებაში დიდი სახელმწიფოებრივი ნიჭი და შემოქმედება სჩანს. მაგრამ უფრო ძლიერია აქ ღრმა მამულიშვილური გრძნობა, შეგნება და გათვალისწინება მოსალოდნელი უბედურებისა. რუსის უბრალო მიწის მუშა გლეხები უფრო კარგად ხედავენ, თუ რა კატასტროფას განუმზადებს რუსეთს ცენტრალიზმი და ერების შებორკვა, ვიდრე ის ჩვენი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ბრმა განყენებულის მოსაზრებით გარედან თავს ახვევენ სახელმწიფოს დაქცევისა და დაძლურების წყობილებას.

ავტონომიები და ფედერაცია ჩვენთვისა და ჩვენისთანა დამონებულ ერებისთვის კი არა, ყოვლის უწინარეს თვითონ რუსის ერის და რუსეთისთვის არის საჭირო!..

სამ. ფირცხალავა.

ზავის ანკეტა

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ გამოაქვეყნა ანკეტა ქვემო დასახელებულ საკითხებზე წერილობითი პასუხის მისაღებად. საჭიროა, რათა ყველამ მიიღოს მონაწილეობა შემდეგი საკითხების გადაწყვეტაში:

1) რა უნდა ვიგულისხმოთ უანექსიო ზავში?

2) როგორ გავიგოთ უკონტრიბუციო ზავი?

3) როგორ უნდა გავიგოთ „ზავი ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე დამყარებული.

4) სთვლით თუ არა თქვენ კონტრიბუციად: დაზარალებულ სახელმწიფოების, ბელგიის, სერბიისა და საფრანგეთისთვის ზარალის ანაზღაურებას, თუ არა და ვინ უნდა აანაზღაუროს ზარალი?

5) როგორ უნდა გავიგოთ თვითგამორკვევის უფლება მოსაზღვრე ქვეყნებში, მაგალითად: გალიციაში, კურლიანდიაში, და სხვ. ვინ და რა პირობებში უნდა მოახდინოს პლებისციტი?

6) რამდენად შეიძლება საზავო ხელშეკრულობა შეეხოს იმ ერთა თვითგამორკვევის საქმეს, რომელთა ადგილებში არ ყოფილა ომის ასპარეზი (ირლანდია, ჩეხია და სხვ.

პეტროგრადის მ. და ჯ. კ. და ს. ანკეტა უკვე გადაბეჭდეს რამდენიმე ჯარის-კაცთა საბჭოს ორგანოებში.

მუნიციპალური პლატფორმა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიისა

რევოლუციამ ძირს დასცა ძველი, დახავსებული წყობილება და ხალხს თავისუფალი გზა გაუხსნა. ცხოვრების ყოველ დარგში ხდება ძირითადი ცვლილებანი. ასეთივე ცვლილებანი უნდა მოხდეს ქალაქის თვითმართველობაშიაც,

ჩვენი დედა-ქალაქის ტფილისის ბედ-იღბალიც დღემდის მდიდრების ხელში იყო. როგორც ყველგან, ძველ მახინჯ წესების წყალობით აქაც პლუტოკრატია იყო ბატონ-პატრონი ყველაფრისა. პლუტოკრატია და მისი დამქაშები ეწეოდნენ კლასიურ და შოვინისტურ პოლიტიკას, ეხოლოდ თავის ინტერესებს იცავდნენ. განაპირა უბნები უყურადღებოდ მიტოვებული, მოუწყობელი, გაუნათებელი იყო ხოლო შუაგული, სადაც ბურჟუაზია ბინადრობს—მშვენიერად არის გაჩირაღდნებული და გალამაზებული.

ტფილისის მშრომელმა ხალხმა ხელთ უნდა იგდოს თავისი ქალაქის ბედი, დემოკრატია გაამეფოს შიგ, განაპირა უბნების ინტერესები დაიცვას, ნამდვილად ხალხისათვის იზრუნოს. დღეს პირველად ხდება დემოკრატიულად მოწყობილი არჩევნები, დღეს პირველად გვეძლევა საშუალება ხალხის მოსარჩლეები ავირჩიოთ საბჭოში და ჩვენც ამ უფლებით ფართოდ უნდა ვისარგებლოთ. ამიტომ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია აყენებს შემდეგს მუნიციპალურ პროგრამას.

ძირითადი პრინციპები.

1. ქალაქის თვითმართველობაში ასარჩევად დამტკიცება საყოველთაო პირდაპირი, თანასწორი და ფარულ კენჭის ყრისა განურჩევლად სარწმუნოებისა, ეროვნებისა და სქესისა 18 წლის ყველა იმ მოქალაქეთათვის, ვინც ქალაქში სცხოვრობს საარჩევნო სიის შედგენის დროს.

პროპორციულ წარმომადგენლობითი სისტემის დამყარება.

2. არჩევის უფლება ხმოსნად სახელმწიფოს ყოველი მოქალაქისა მიუხედავად იმისა, შეტანილია ის საარჩევნო სიაში თუ არა.

3. თვითმართველობის დეცენტრალიზაცია და ამ მიზნით მოწყობა ქალაქის საუბნო საბჭოებისა.

4. შემოღება ქალაქის საქმეებში ხალხის საკანონმდებლო ინიციატივისა და პირდაპირი სახალხო კანონმდებლობისა (რეფერენდუმი).

5. ხმოსნების არჩევა ქალაქის საბჭოში ორი წლის ვადით.

შენიშვნა. ამომრჩეველთ უფლება ჰქონდესთ დაითხოვონ საბჭო რეფერენდუმის საშუალებით ვადის გასვლამდისაც.

6. სრული დამოუკიდებლობა ქალაქის თვითმართველობისა ადმინისტრაციისაგან ქალაქის შინაურ საქმეების მოწყობაში და წარმოებაში.

7. სრული უფლება ყოველი ხმოსნისა ქალაქის საბჭოში სიტყვის წარმოთქმისა და განცხადების შეტანისა დედა ენაზე.

8. არჩევა ხმოსნის მიერ გარდა ქალაქის თავისა და გამგეობისა, აგრეთვე ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობის პირთა.

9 მოწყობა ქალაქის მილიციისა და მისი გამგებლობისა.

10. მოწყობა ქალაქის თვითმართველობის დაწესებულებათა და წარმოებათა არა მოგებისათვის, არამედ მცხოვრებთა უსაჭიროეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამ მიზნით მუნიციპალიზაცია (თვითმართველობის ხელში გადასვლა(ტრამვაისა, განათებისა, წყალსადენისა, სასურსათო საქმისა, აფთიაქებისა და სხვ. სრული მოსპობა ქალაქის წარმოებათა იჯარით გაცემისა.

ქალაქის საერთო მოწყობა და გამშვენიერება.

41. ქალაქის ახალი ნაწილების მოწყობა სწორი გეგმით. ქალაქის ძველ ნაწილებში გაფართოება ქუჩებისა, ვიწრო შესახვევებისა და გასავლელებისა.

12. დაუყონებლივი მოკირწყვლა ქალაქის ყველა ქუჩებისა და მოედნებისა, განსაკუთრებით განაპირა უბნებში.

13. მიღება ზომებისა, რომ წყალნიღვარმა ქუჩები არ წალეკოს და მცხოვრებნი არ დააზარალოს.

14. გამაგრება მტკვრის ნაპირებისა და ამოშრობა მტკვრის მარჯვენა ტოტისა.

15. ხიდების გაკეთება მტკვარზე—დიდუბესა და ორთაჭალაში.

16. ხეების გაშენება ქუჩების გასწვრივ ორივე მხრით.

17. გაშენება ბაღებისა როგორც ცენტრში, აგრეთვე განაპირა უბნებში საქალაქო მიწაზე.

შენიშვნა: სადაც ასეთი მიწა არ არის, ქალაქმა უნდა შეიძინოს იგი ხსენებულ მიზნისათვის.

18. გაშენება ტყისა ტფილისის გარშემო,

19. ქალაქის წყალსადენის გაფართოება და მისი იმგვარად მოწყობა, რომ ქალაქში საკმაო წყალი იყვეს არა მარტო მცხოვრებთა სახმარებლად, არამედ ქუჩების მოსარწყავადაც.

20. დაუყონებლივი მოწყობა კანალიზაციისა მთელს ქალაქში.

21. განათების გაუმჯობესება მთელს ქალაქში ; განათება განაპირა უბნებისა ისე, როგორც ქალაქის შუაგულისა.

22. მოწესრიგება ტრამვაის მიმოსვლისა და რტამვაის გაყვანა ყველა განაპირა უბნებში.

23. მოწყობა ტფილისში ბალნეოლოგიურ სადგურისა და კურორტისა, ამ მიზნით შეძენა ქალაქის მიერ გოგირდის აბანოებისა, გამშვენიერება და გასუფთავება იმ უბნისა, სადაც გოგირდის წყლებია, და გაშენება ეხლანდელ აბანოების ნაცვლად სპეციალურ საექიმო დაწესებულებათა.

ქალაქის სანიტარია და ჰიგიენა.

24. გაძლიერება ქალაქის თვითმართველობის სასანიტარო ზედამხედველობისა მთელს ქალაქში, როგორც სანოვაგეზე და ბაზრებზე, აგრეთვე ეზოებზე, შენობებზე და სხვა.

25. დანგრევა ისეთ შენობებისა, რომელნიც ჯანმრთელობისათვის მავნებელნი არიან.

26. სრული აღკრძალვა ისეთ შენობების აგებისა, რომელნიც სანიტარულ და ჰიგიენურ მოთხოვნილებათ არ აკმაყოფილებენ.

27. იაფ-ფასიანი და ჰიგიენური ბინების გაშენება ქალაქის ხარჯით, ქალაქის მიწებზე ღარიბ მცხოვრებთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

28. მოწყობა ქალაქის ყველა ნაწილში და განსაკუთრებით კი განაპირა უბნებში ქალაქის ხარჯით უფასო აბანოებისა და სამრეცხაოებისა.

29. ღარიბ ხალხისათვის ფართო უფასო სამკურნალო დახმარების მოწყობა; ამ მიზნით მომატება მუდმივ ლოგინების რიცხვისა ქალაქის საავადმყოფოებში, უფასო დახმარების აღმოჩენა ავადმყოფთათვის მათ ბინაზე. დაარსება უფასო ამბულატორიებისა აფთიაქებით და აგრეთვე სამშობიარო განყოფილებათა ყველა განაპირა უბნებში და მოწყობა სპეციალური პსიხიატრიულ სამკურნალოსი.

სასურსათო საქმე.

30. ალაგსება სურსათისა და პირველ საჭიროებათა საგნებისა ქალაქში.

31. სრული უფლება შემონახულ და გადამალულ სურსათის რეკვიზიციისა.

32. სურსათისა და პირველ საჭიროებათა საგნების რაოდენობის განსაზღვრა და მათი თანასწორად განაწილება.

33. დაარსება ქალაქის დუქნებისა პირველ მოთხოვნილებათა საგნების გასაყიდათ ქალაქის ყველა ნაწილში.

34. მოწყობა ქალაქის წისქვილებისა, ფურნეებისა, სარძევე ფერმებისა და ბოსტნებისა.

35. დაწესება ნიხრისა ყველა საჭირო საგნებსა და ნივთებზე.

36. ფართო დახმარების აღმოჩენა კოოპერატივებისადმი.

სახალხო განათლება.

37 სკოლების ნაციონალიზაცია, სწავლება ქალაქის სკოლებში დედაენაზე.

38. უფასო საყოველთაო სავალდებულო საერო განათლება ყველასათვის 16 წლამდე.

39. სავალდებულო საყოველთაო პროფესიონალური განათლება ყველა მოზარდთათვის (ყველამ აუცილებლივ ბავშვობაშივე უნდა შეისწავლოს ერთი რომელიმე ხელობა მაინც).

40. დაარსება სასკოლო ბაღებისა.

41. დაარსება სკოლებისა ბრმებისათვის, ყრუ-მუნჯთათვის და აგრეთვე გონებით ჩამორჩენილ ბავშვთათვის.

42. მოწყობა მოწაფეთათვის სასწავლო ნივთების უფასოდ დარიგებისა, საუზმეებისა და საზაფხულო კოლონიებისა.

43. მოწყობა უბინაო ბავშვთათვის თავშესაფარისა.

44. სასკოლო შენობის ჰიგიენურად აგება და სკოლების ჰიგიენური მოწყობა.

45. მოწაფეთა უფასო წამლობა.

46. დახმარება ღარიბ მოსწავლეთა საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

47. ყოველგვარი ზრუნვა ტფილისში უმაღლეს სასწავლებლის დაარსების შესახებ, როგორც პოლიტეხნიკუმისა, აგრეთვე უნივერსიტეტისა.

48. დაარსება მოზრდილთათვის საკვირაო სკოლებისა.

49. დაარსება უფასო სახალხო სახლებისა და სახალხო უნივერსიტეტებისა.

50. წიგნთ-საცავ-სამკითხველოების მოწყობა ყველა უბანში.

51. დახმარება კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა.

მუშათა საკითხი და საზოგადოებრივი მზრუნველობა.

52. დაწესება ქალაქის საწარმოვო დაწესებულებებში:

ა) 8 საათის სამუშაო დღისა კვირაში ერთხელ 42 საათის განუწყვეტელ დასვენებით; უფრო ნაკლების მუშაობისა წარმოების ისეთს დარგებში, სადაც მეცნიერულ ჰიგიენის თანახმად 8 საათის მუშაობაც საზიანოა ჯანმრთელობისათვის.

ბ) სამუშაო ქირის მინიმუმისა და მუშებთან კოლექტიურ ხელშეკრულობის დაწესება.

გ) შრომის თანასწორი ფასისა თანასწორ მუშაობაში განურჩევლად სქესისა;

დ) აღკრძალვა ბავშვების მუშაობისა 16 წლამდე და დაწესება მსუბუქ მუშაობისა 16-დან—18-წლამდე.

ე) სრული აღკრძალვა მცირე წლოვანთა და ქალების მუშაობისა წარმოების ზოგიერთ დარგებში, რომელთაც მათი ჯანსაღობისათვის ზიანი მოაქვსთ.

ვ) განთავისუფლება ქალებისა მშობიარობის წინ 3 კვირით და მშობიარობის შემდეგ 6 კვირით.

53. ფართო მონაწილეობის მიღება უმუშევართა, დაავადებულთა, დაუძლურებულთა და უბედურ შემთხვევებისაგან დაზიანებულთა დაზღვევის საქმეში.

54. მოწყობა ქალაქის თავშესაფარისა მოხუცთა და ობლებისათვის.

55. მოწყობა უფასო ჰიგიენურ ღამის თავშესაფარ სახლებისა.

56. დაარსება შრომის ბირჟებისა და მომრიგებელ კამერებისა.

57. უფასო და იაფ ფასიან იურიდიულ დახმარების მოწყობა ხელმოკლე მცხოვრებთათვის.

58. ომში გაწვეულთა ოჯახებისადმი ფართო ნივთიერი დახმარება და მათთვის სამუშაოს მიწოდება.

59. სხვა და სხვა ხელობის მოწყობა ომში დასახიჩრებულთათვის და მათთვის სამუშაოს მოწოდება.

ქალაქის ფინანსები.

60. სრული უფლება თვითმართველობისათვის სასარგებლოდ განსაკუთრებულ გადასახადების გაწერისა.

61. შემოღება პროგრესიულ მუნიციპალურ დამატებითი გადასახადებისა მემკვიდრეობისა და უსასყიდლო საჩუქრებზე გარდა იმ შემოწირულებათა, რომელიც საზოგადო კულტურულ საქმეებს უნდა მოხმარდეს.

62. შემოსავლის კვალობაზე დადებული პროგრესიული მუნიციპალური დამატებითი გადასახადის შემოღება.

63. დაწესება უძრავ ქონებაზე გამათანასწორებელ სარენტო გადასახადისა, რათა ქალაქის შუაგულში მცხოვრებ მესაკუთრემ მეტი გადაიხადოს ვიდრე განაპირა უბნელმა.

64. სრული უფლება ქალაქის თვითმართველობისა როგორც მოკლევადიანი, აგრეთვე გრძელ ვადიანი სესხის აღებისა ქალაქის გასაშვენიერებლად და თავის დაწესებულებათა მოსაწყობად.

65. განთავისუფლება ქალაქის თვითმართველობისა ყოველგვარ სავალდებულო გადასახადებისაგან სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად.

66. დაწესება განსაკუთრებულ გადასახადისა ქალაქის ცარიელ მიწებზე.

67. შემოღება ქალაქის თვითმართველობის სასარგებლოდ განსაკუთრებულ გადასახადებისა ფუფუნების საგნებზე.

ამხანაგებო და მოქალაქენო! აი, ყველაფერს ამას დაიცავენ სოციალისტ-ფედერალისტთა ხმოსნები საბჭოში. ხმა მიეცით ხალხის მოსარჩლეებს სოციალისტ ფედერალისტებს, ძირს დაეცით ბურჟუაზიის ბატონობა, ნუ დაჰკარგავთ ნურც ერთს ხმას. გაუმარჯოს ხალხს და ერთა შორის ძმობას!

შემოწირულება

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სეირნობის სასათგებლოდ შემოსწირეს ფულად.:

ელენე გიორგაძემ 1 მ., ეკატერინე ასათიანმა 1 მ., ნინო ასათიანმა 1 მ. 60 კ., №—მა 50 კ., ა. ზედგინიძემ 3 მ., ცხონებულმა 1 მ., დანიელ ასათიანმა 1 მ., ლევან ასათიანმა 3 მ., ლელო ჩიქოვანმა 3 მ., ბედიანაძემ 2 მ., №—მა 50 კ., რ. ანდრონიკაშვილმა 1 მ., №—მა 1 მ,, ცაბაძემ 1 მან., №—მა 50 კ., №—მა 20 კ., თინათინ გიორგის ასული ფორაქიშვილისამ 25 მან. მარიამ მამულაიშვილისამ 1 მან., ევა მარკოვსიამ 1 მ., ივანე ჩქარეულმა 3 მ., №—მა 5 მ., №—მა 5 მან., ფარულავამ 10 მ., ევა კობახიძემ 5 მ., საფაროვმა 50 კ., დანიელ ნემსაძემ 1 მ., მ. ავალიანმა 2 მ., მღ. ლაფერაშვილმა 2 მ., საკმიანცმა 2 მან., როტინოვმა 1 მ., ილია გურგენიძემ 2 მ., კაფიევმა 50 კ., პორეჩ. მგალობლიშვილმა 1 მ., ანტონ ეპისკოპოზმა 3 მ., ცისკაროვმა 5 მ., №—მა 20 კ., №—მა 50 კ., კიუმენემ 10 მან., მალხაზი ბეჟანიძე სიმონიამ 5 მ., დომენტი სულავამ 1 მ., არტემ პილაიამ 1 მ., პლატონ ღარკაფამ 20 კ., ტარსიმინ 60 კ., აბრიხაიამ ენოხი 50 კ., ბლუდიამ ვარ. 10 კ., მაკ. ინუევმა 20 კ., მალაქია გობაძემ 20 კ., ალექსანდრა დიმისტანაშვილმა 20 კ., გიორგობიანმა 20 კ., მიხ. გოგიტურიამ 30 კ., იაკობ ბალთფურიამ 20 კაპ., ალექსანდრე ძიძიგურმა 20 კ., ვარლამ ბაკურავამ 20 კაპ., ელეონორამ 30 კ., ბიბილურმა 1 მ., 1-ლ კ—ს საპარიკმახერო მომუშავეთაგან 5 მან. ასლანაშვილმა 1 მან., გძელიშვილმა სულიკაშვილმა 50 კ., ავალიშვილმა 1 მ. სმირნოვისამ 1 მ., ელის. ქართველიშვილმა 3 მ., მაკრინე ილარ. ფორაქიშვილმა 1 მ., ვასილ გაბრ. ქართველიშვილმა 10 მ.

სულ ამ სიით შემოწირულია 141 მ. 30 კაპ.

კავკასიელ ქალთა საზოგადოების ქართული სექცია უღრმეს მადლობას სწირავს იმ პატივცემულ პირთ რომლებმაც შემოსწირეს მათ მიერ ახლად დაარსებულ ღარიბ ქალთათვის ასოთაამწყობლობის სკოლას ფულად.

კასიმ-ბეგ ჯამალ-ბეგოვმა 25 მ., ლიდა გეგიაძემ 15 მ., აფთიქარმა ვარლამ ახვლედიანმა 10 მ., თ. ტიტიკო ჭავჭავაძემ 5 მ., დავით მოწყინაძემ 5 მან., ცეცილია ჯაშმა 3 მ., გრიგოლ ახვლედიანმა 3 მ., დათიკო კალანდაძემ 3 მ., იმედი გვაქვს სხვებიც მიბაძავენ ამ წავალითს და კეთილ საქმეს გვერდს არ აუვლიან.

პატივისცემით ქართ. სექც. მდივანი **დარია ახვლედიანისა.**

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ჯორჯაძე.**

იყიდება

ცხენი და კვიცი 2 წლისა

იქვე იყიდება კავალერიის უნაგირი, 2 მინდვრის ტელეფონი, რკინის კროატი, ბადით და ორი ძვირფასი იაპონიის ვაზები. მისამართი: პესკი, დესიმონოვის მოედანი, სახლი 11, სასწორის პირდაპირ იკითხეთ მალიაჩუკი. 704

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისისა).

ტფილისიდან გადის:				
ბათომისაკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომისკ.	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დილ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4.3	11.13	საღ.
თელავისკენ		№ 4,	9	დილ.
გორისკენ	სამგზ.	№ 5,	9.10	დილ.
ტფილისში მოდის:				
ბათომიდან	სამგზ.	№ 10,	9.25	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5	8.48	საღ.
გორიდან	სამგზ.	. .	6.34	საღ.
თელავიდან		№ 3,	6.24	საღ.

ექიმი

შ. ა. [illegible]

მიიღებს შინაგან და ბავშვთა ავადმყოფებს [illegible] საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 17[illegible].

ექიმი

ლ. დ ფალავანდიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 ს. მისამართი: კუთხე მუხრანისა და ბაგრატიონის ქუჩისა № 23/31. 151

ექიმი კბილისა

ნინო [illegible]

იღებს ავადმყოფებს დილით 9—3 საათ. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა, 14, [illegible] ქუჩის შესახვევი, 21.

ს. ზ. მირზოევი

უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალთა საავადმყოფოსი, იღებს $1^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ № 1. ტელეფ. 16—67.

ექიმი მღვდელი

ს. ა. ლეჟავა

შინაგანი, ბავშვების და კანის ავადმყოფებს, იღებს ყოველ დღე, გარდა კვირისა, დილით 8—10 ს. საღამოთი, 5—7 ს.

ელისაბედის ქუჩა № 52. 1158

ექიმი

ნ. ნ. [illegible]

[illegible] კლინიკაში. იღებს ნერვების ავადმყოფებს ახალ ბინაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა. [illegible] ტელეფონი 5—54. 1084

ექიმი

მ. დ. წინამძღვარიშვილი

ყოფილი ორდინატორი თერაპევტიული კლინიკისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტისა. შინაგანი სნეულებანი. [illegible]. იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., № 86, [illegible]. 1059

ექიმი

ვ. მუსხელიშვილი

იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი

თიკანაძე

იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ., 18, ტელეფონი 11—82.

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს სალოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა. ტელეფ. 5—77 1059

ექიმი

ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი: პეტროგრადის ქ. № 7.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1058

ექიმი

ქ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა № 4. სასტუმრო [illegible] ტელეფ. 15—00. 1008

ექიმი

გ. გ. [illegible]

ვენერიულ, კანის, [illegible] და მისი შედეგებისა. წამლობა „606" და „914" პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. $5^{1}/_{2}$ ს.-დან 8 ს.-დე. მხიეილ. ქ № 33. ტელ. № 16—17. 437

ექიმ ნავასარდიანის

პირველი კერძო

სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ [illegible] (გარდა კვირისა)

დილით:

11—12 ს. „606" და „914"

[illegible] —11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (ხიდულის [illegible]).

[illegible]: [illegible] ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

[illegible]: 10—12 ს. [illegible], [illegible] და ცხვირის სნეულებანი.

საღამოთი:

[illegible]: 6—7 ს. [illegible] და ქირურგიული.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები, მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის [illegible].

სათეატრო-სალიტერატურო სურათებიანი კვირეული

ჟურნალი **„თეატრი და ცხოვრება№" 24** შინაარსი

(წელიწადი მეხუთე)

ივ. გომართელი—ეროვნული საკითხი; გ. ლადოშვილი—მემსხვერპლები; დიმ. დეკანოზიშვილი—„ფიქრი სანატრი" და „ფიქრნი მელანქარნი" პოეტის ნიკ. ბარათაშვილი; დ. თურდოსპირელი—მომკვდა, მოჰკვდა! გ. დათიაშვილი—გაცივდა გული, გაჰქრა ტურფა შემოქმედი; გ. ლომთათიძე—რა ვიცი მე ჰოლა ლომთათიძის შესახებ; ივ. გომელაური—სულით ობოლნი, 5 მოქ. დრამ. ჰაუპტმანისა; ევ. დვალი—მუშას და სალდათს; გ. ჩლაიძე—განთიადი; ა. წულუსპირელი—შრომის საწყლებში; გ. ჯაბაური—სახ. თეატრის ისტორია—ვერის სახალხო თეატრის ისტორია; დავიწყებული—წარმოდგენები თელავში; პლ. რაჭველი—შორაპნის თეატრი; სურათები.

მიიღება 1917 წ. ხელის მოწერა. წლიურად—8 მან. ნახევარ წლით—4 მან. 50 კ., მიიღება ხელის მოწერა „ხალხის თავისუფლება"-ზე, წლის ბოლომდე 5 მ., ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში (ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, მეწიგნეების გვერდით).

შენიშვნა: ჟურნალი შეუჩერებლივ გამოდის და თუ ვისმეს ნომერი არ მიუღია, გვაცნობოს.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.** 651.

დ. ბაკურიანში

ვღებულობთ მოაგარაკეთ

ყოველი ხარჯით თვიურად და მთელი სეზონით. ფასები შეთანხმებით. მისამართი: დაბა ბაკურიანი, „ბუფეტ-პარკი", ბუფეტის უფროსს კ. ი. მაკნიწოვი 656

თევზის მრეწველნი

ძმ. ძებველოვები

პუშკინის ქ., საკ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.

ყოველ დღე მოგვდის ახალი ქვირითის **ხიზილალა**, სრულებით ცოტა მარილიანი, შავი **„მეზოჩნი" ხიზილალა**. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები**. მუდმივ გვაქვს **ცოცხალი**. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის **ზუთხი, თართი, ფარგა** და **ლოქო**. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. ხანგრძლივ ინახება. 1035

სტამბა „სახალხო ფურცელი" ზერონის ქუჩა, სახლი № 14.